140
1945/2

ჟინუერი

აგვისტო
1945

N7

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პ ი ო ნ ე რ ი

საქ. ალკკ. ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 7

1945 წ. აგვისტო

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამომცემლობა „კომუნისტი"

ПИОНЕРИ

№ 7

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти"

გიორგი შაჯაკრაშვილი

კ ა ლ ო ო ბ ა

კალოობაა. მინდვრებზე ყანა
აღარ შრიალებს, აღარ ბობოქრობს.
ურმეულებად დაუდგამთ ძნები,
ცხრათვალა მზეზე პრიალებს ოქრო.

ისმის ტრიერის მწყობრი გუგუნი,
ქშინავს მანქანა, ბრუნავს ბორბალი.
სწრაფად იშლება შეკრული ძნები,
ბეღლისკენ ურმით მიაქვთ ხორბალი.

ეფიცხებიან მზეს თავთავები,
მზეც, თავთავებიც არის ყვითელი,
კალოებზე კი ბერიკაცები
უქცევენ ნიჩბით და ორთითებით.

კევრზე ზის ბიჭი მოქნილი სახრით,
არ მოუხუჭავს თვალი წუხელის,
განთიადიდან მის ჯიღა ხარებს
ხალისით დაუქვთ მძიმე უღელი.

კევრქვეშ იშლება მწიფე თავთავი,
სოფლის ბარაქას უცინის ყველა,
ისმის სიმღერა, ისმის ღიღინი—
ხან კალოური, ხან ჰოროველა!

ხოლო, როდესაც მზე გადიხრება,
შემოუქროლებს ბზეს ზენაქარი,
რომ გააგონოს კალოს და საბძელს
ხალისიანი ხვავის ხარხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი პოემების და ბალადების სიუჟეტებს ვაჟა-ფშაველა ხშირად ხალხური თქმულებებიდან სესხულობდა, მაგრამ ის მათ მხატვრულად ამუშავებდა, თავისი სულის ქურაში აწრთობდა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ. ის უხვად იყენებდა აგრეთვე ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზიის ლექსიკონს; ამ გარემობამ ხელი შეუწყო მისი პოეტური მეტყველების გამდიდრებას.

გარდა ზმნიდა მხატვრული ღირსებისა ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებას დიდი ზნეობრივი ძალა აქვს. მისი პოემების და ბალადების მოქმედი პირები მონუმენტალურ ფიგურებს წარმოადგენენ, ისინი საუკეთესო იდეალებისათვის იბრძვიან, მსხვერპლად ეწირებიან თემის და სამშობლოს ინტერესებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მთავარ მოტივს სამშობლოს სიყვარული წარმოადგენს, ამ გრძნობას მან თავის [illegible] ეპოსსა და პროზაში უდიდესი ძალა დაუდგა. ისტორიული საქართველო მან ცალფრთამოტეხილ არწივს შეადარა, ყვავყორნებთან მებრძოლს, თავის დროინდელ სანახევროდ გადაგვარებულ მაღალ ქართველ საზოგადოებას ბევრი საყვედური უთხრა, მაგრამ ამასთანავე იმედი გამოსთქვა, რომ ჩვენს სამშობლოს ბრწყინვალე მომავალი მოელისო. ვაჟა-ფშაველას კეთილშობილი პატრიოტული შეგნება თავისუფალი იყო ყოველი გადაჭარბებისაგან, ის თავის სამშობლოს სიყვარულთან ერთად სხვების პატივისცემასაც გულისხმობდა.

ვაჟა-ფშაველა ნახატები მ. დაუშვილისა



ია



ერანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გალიდამ გამომაქცევრალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მი ვაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამპალს ყუნჭს თვალი სულ ჩემს კენ უპირავს, მიკინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდან გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ. მაგრამ გულკეთილობა-კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ.

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე? წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცავდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის: წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები. უფროთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩემთვის ერთია. არა, ხეები: არყი, წიფელი, თხილი, თამელი, ღუდგულა გარშემო შეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახავენ ტოტებით, ფოთლებით და მერე ნელნელა მამცვრევენ პირზედ, თითო-ოررა ამობით, პირსა მბანენ. მე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემეძლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და ღობეა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში წითლის და მწვანის ფერა-ბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ და ხანდახან შემომშიკჩიკე-

ბენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე. ჩემი ერთი თვის სიცოცხლე სხვის ოცდა-ოთხი თვის სიცოცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს კი დანატრებული ვარ. დილას ერთმა „წიფლის-ჩიტამ“ ჩემს ახლოს იგალობა, ლამაზი რამ იყო,—ყელწითელი, ღაბუა; იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზედ და მხრებზედ; ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება.

გუშინ ცამ იჭექა. ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედამიწის გულზე. მზე-მამაა, ზევიდან დაგვყურებს და გვეალერსება, თვალ-ყურს გვადევნებს. წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ; ეხლა ისინი ახალ კაბებს და ქათიბებს ჩაიცმენ. აი ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტელაც* ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს, სულ თავს იქნევს დაბლა და მაღლა, უკრავს თავს დედამიწას, მზის სინათლეს, მეჩურჩულება, ზღაპრებს მიამბობს სიცოცხლეზე, სიყვარულზე; ხანდახან კიდეც გაიკასკასებს, გადმამეხვევა და მაკოცებს. გუშინ დილით მე და ჩემმა დობილმა ორივემ ვიტირეთ.

რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ ვერ აფასებს ჩვენ სიცოცხლეს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალ მხარეზედ ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა, მიადგა ერთ მშვენიერ ტოტგადართხმულ წიფელს, დაუშინა ცული და წაეჭრა. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულის-კაბა** ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულ ფოთოლს არ ამოსცილებოდა, როდესაც ხე წაიქცა, გადიყრეინა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობჭყვინდა, ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულ გულში.

შუადღის დროს დაღალულ-დაქანცული ქედანი მოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე და დაიწყო ღუღუნი. უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ მშვიდობით ნახა კიდევ ნაცნობი ადგილი. უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეზით ჩამოეკიდა ტოტზე, მერე ძირს ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. სისხლი წამოუვდა ნისკარტიდან და თვალები დახუჭა; გადმონადენი სისხლი წვეთ-წვეთად დაეტყო ფოთლებზე. მე და სასუტელას კანკალი მოგვივიდა... მე გარკვევით არაფერი მესმის, მხოლოდ რაღაც ბუბუნი, გრიალი, ბუნდი ერიამული მოდის ჩემამდის.

ვაჰმე, რა საბრალო არი
ია, მოსული მთაზედა!
ბეჩავს დაეზრდება სიცივე,
ან ელვას დაეკრავს თავზედა;
ღმერთს მიუცია საწყლისად
მოკლე სიცოცხლის ჟამია,
ქვეყნისა მისგან შვენება
ერთი ბეჩავი წამია.
ია დაიწყებს კდრამასა,
დაიკვითინებს: „ვაჰმეო!
თუ გამაჩინე, უფალო,
დიდი დღე რად არ მამეო?!“

* მცენარეა.
** მცენარეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი სახლი

(საბავშვო პოემა)

1. თეთრი სახლის ბინადრები

ლურჯი ღამის სილამაზე
როგორ სწრაფად, ჩუმად გარბის!
ღამე გადა, მაგრამ ცაზე
დარჩა მთვარის ოქროს წარბი.
ყანებს სძინავთ, წყალსაც სძინავს,
ოქროს წარბი ობლად ბრწყინავს,
ლურჯ საბანში ალბათ მზესაც
რიჟრაჟის წინ ჩაეძინა!
სძინავს დილის ტკბილი ძილით,
ოქროს თვალი მიულულავს,
მაგრამ ერთი ურჩი სხივი
გამოუსხლტა ღრუბლის ქულას,
და წყლის პირად მტირალ ტირიფს
დაუკოცნა ქოჩრის ძირი
ამ თეთრ სახლშიც სძინავს ყველას,
მხოლოდ სხივი ფანჯრებს ფერავს.
სხვებზე ადრე გაეღვიძა, —
ჭრელაჭრელა ხტავერას.
გაიზმორა, დაამთქნარა,
პირის ბანას მოჰყვა წყნარად.
წინა თათი დაისველა,
წარბი დაიშორიშორა.
თვალი, ყური დაიბანა,
ულვაშები გაისწორა.
მოიცალა თვალზე რული,
კართან დაჯდა მოწყურული.
მაგრამ თურმე არა სძინავს
ციცქნა ვრიცკოს რა ხანია.
ხტაკვერას ორნები
მისთვის მუდამ ამალია,
გაუცინა ეშმაკ ციცას
და სულ ყველა გაადვიძა...

ვიშვიშებდა წყნარად დედა:
— ახ, სვეტლანა! ახ, ოქსანა!
აკი თავზე დაგვათენდა, —
სად ნახულა ამისთანა?..
მზე — ამ ტასტის ოდენია,
ხალხი ყანებს მოდებია,
შრომას, გარჯას ყველა ცდილობს,
ჩვენ კი გვძინავს უსირცხვილოდ,
გვძინავს ქვეყნის სასაცილოდ!
მერე, გრუშა—ბრიგადირი —
უკმეხია, პირდაპირი,
თუ შეყოვნდი ერთი ფეხით,
დაგატყდება, როგორც მეხი.
გრუშა ცამდე მართალია;
თუ კაცები მზად არიან
მაშულს მისცენ სისხლი, ღონე,
ჩვენ რა ძილქუშს დავემონეთ?..
თან წუწუნებს, თან ფუსფუსებს,
სახლი სწრაფად დაალაგა,
ფეხებში რად მედებიო,
ფისოს ცოცხი წაუთაქა.
დაიბანა პირი ხელად
და შეუდგა ცომის ზელას.
ეს ლამაზი ოქსანაა,
რომ წამოდგა ტანტატანა,
ოქროს თმები აიკრიფა,
ტანი შოლტად აიტანა;
გაუღიმა მზეს და დილას,
წამწამები მოიჩრდილა.
ჯავარია მთელი სოფლის,
ყველას გასაკვირველია,
პურის მკაში ვერავინ სჯობნის,
სიმღერებშიც პირველია, —

ფრონტზე წასულ საქმროს ელის,
სასძლო არის სანატრელი.
მის შავთვალა დაიკონას,
სვეტლანასაც გაეღვიძა.
წუთიც ადარ დაayოვნა,
წამოიკრა ისე ფიცხლავ,
რომ ფსონა შეაშინა
და გრიცკოსაც გაეცინა.
— „ჰე მო, ცელქო! — და სვეტლანა
პატარა ძმას წაეტანა. —
ფისომ პირი დაიბნა,
შენ კი, ზანტო, არ გსურს განა?..“
ცელქი გრიცკო, მოკინარი,
დებმა ჭაზე გააქანეს,
ჩამოუშვეს ოწინარი,
ჰბანენ, ადარ დაახანეს,
ირგვლივ ცვივა ვერცხლის შხეფი
და სიცილი ისმის დების.

2. მტერი! მტერი!

მზეს რა ნისლი დაეფარა?
ყური მიაქვს რა ქარტეხილს?
კვამლია თუ ღრუბელთა ფარა,
სროლაა, თუ სკდომა მეხის!..
„—მტერი! მტერი!“ — წამს მოედო
საზარელი სიტყვა სოფელს.
გზაანბეულ ქალთა ჯგუფი
ეკახება ღობით ღობეს.
ანაზზარებს ხეს და ძიწას,
ზეცა ცვივა ყუმბარებად,
მოდის მტერი და თან მოაქვს
სიკვდილი და მწუხარება!
ჯერ ჩამოდგა ჯანღი ტლანქად,
შემდეგ თითქოს დაჰკრა ელვამ
და გრუხუნით ერთმა ტანკმა
სოფლის ქუჩა გადათელა.
ხალხი სახლებს შეეყუჟა,
გაინაბა, მოიკეცა.
გაოცებით სოფლის ქუჩას
დასცქეროდა შორი ზეცა.
სწორედ ამ დროს გაჩნდა გზაზე
ბავშვთა ჯგუფი ჩქარაზე ჩქარი.
ქურაცკების ფარას გავდა
დაფეთებულ ბავშვთა ჯარი.
იდაყვები აეწურათ,
ნაბიჯები ჰქონდათ გრძელი
და მათ ირგვლივ, როგორც კრუხი,
ქოთქოთებდა ხელმძღვანელი.
ამ საბავშვო ბაღის გვრიტებს
ეცვათ თეთრი ხალათები,
მოყვებოდნენ ქუჩის კიდეს,
გვირილებად ანათებდნენ.
შეეშინდნენ ტანკის გრიალს
და გაეკრენ დაწნულ ღობეს.
თვითეულის ფერმკრთალ სახეს
შავი შიში ალმურს მოჰფენს.
მაგრამ ტანკი მიდის მშვიდად,
მიდის, ბავშვებს თითქმის გასცდა,
გადმოხედა კომკურიდან
ოფიცერმა ახალგაზრდამ.
ჩაიცინა, და იმ წამში
ტყვიამფრქვევი აკაკანდა...



ღობის ძირას ერთი ბავშვი
უცნაურად გადაქანდა,
ჩაიმუხლა, გაიშალა
და თვალები შერჩა ზეცას...
მოცელილი იებივით
მთელი მწკრივი ჩაიკეცა.
თითქოს ხეთაც ეცათ ელდა
ვერაგობა არნახული:
ვინ მოსცელა ჟალ ერთად
ეს ამდენი გაზაფხული?
რად დაცხრილეს ნორჩი გული,
რად ჩააქრეს თვალთა ელვა?...
საზარელ ხმით დაიყვირა
თმაჭაღარა ხელმძღვანელმა.
და თითქოს ამ დაძახილზე
ყველა კარი გამოიღო,
ყოველ ქისკარს, ყოველ ეზოს
ქალთა ჯგუფი გამოეყო,
ყველამ ერთად მიაკელა,
შეცხადების დადგა ზარი,
ძუ-ვეფხვებად დარაზმული
მტერს გადუდგა ქალთა ჯარი!
ეს ლამაზი ოქსანაა,
წინ რომ მირბის ტანტატანა,
ვერაფერი მოიხელთა,
ღობის მარგილს წაეტანა,
მოიქნია იგი გაშლით,
ქერა ყაჩაღს დაჰკრა თავში!
შემდეგ?.. თითქოს მიწა იძრა,
ცა დაიქცა ზანზარით. —
ფაშისტების ბიღნი ხელი
დატრიალდა საზარი.
ხვრეტდნენ, ელეტდნენ ტყვიით, დანით,
გულგრილად და უშფოთველად;
ყოველი ხის შოლტი ტანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაიქცა სახრჩობელად!
ეს ლამაზი ოქსანაა, —
ორ ფაშისტის ხელში შფოთავს,
მკერდში ცივად იგრძნო დანა,
მოკვლილი გაიშოტა.
ჩაჰქრა ცისფერ თვალთა ძალა,
თითქოს ნაცარმინაყარი,
სისხლში, მტვერში ჩაიშალა
ოქროს თმების ნიაღვარი!
გაშწარებულ დედის გული
რამ დაიცხოს, რამ შებორკოს?
მწუხარებით გათანგული,
ხელშეკრული დედა ბორგავს,
იმეორებს მარცვალ-მარცვალ:
— არ შეგშვენის, შვილო, ეფიცავ, —
საქორწილო კაბის ნაცვლად
სისხლის კაბა გადგიცვამს!..
უცებ მსუბუქ მანქანიდან
ვადმოვიდა ჩია კაცი,
ქოსა, სახედაღმეჭილი,
ულიმდამო, თვალებმაცი.
— რაო?—დედას მიათითა,
— მოჯანყეა. — უპატაკეს.
— ჩამოალრჩეთ. — ბრძანა მშვიდად
და შეაჩერა ღიმი ბაგეს.
დააცქერდა ცივი მზერით,
პირზე ზიზღმა გადურბინა.
— ვასუფთავდეს ყველფერი!
მოიძებნოს შტაბის ბინა!
და სრულდება ნაბრძანები:
ვიშვიშებდა დედა კიდევ,
როცა მისი ხელით დარგულ
ვაშლის ხეზე ჩამოჰკიდეს.

3. ტყეში

სად წავიდნენ, სად არიან
სვეტლანა და ცელქი გრიცკო?
ბავშვი სისხლმა გადარია,
ცრემლებს ჰყრიდა ცერის სიმსხოს.
ის სვეტლანას მიჰყავს ხელით,
ბოსტან-ბოსტან გააპარა
კიდევ დილით უზრუნველნი
დარჩნენ ზეცის ანაბარა!
თბილი კერა მიატოვეს,
საით ვლიდნენ — ეკალ-ბარდით?

წინ უძღოდათ სიმარტოვე
და მისდევდათ შავი დარდი.

— . —

გარინდულიყო ღაჟვარდი.
თითქოს შეეპყრო საღათა;
მზეს ბამბისქულა ღრუბლები
ოქროს ვარაყით დახატა.
ხერზე, ხელმარჯვნივ, ტყე იყო,
სოფელს დასცქერდა ლაღადა
ტყეში კი იყო შრიალი....
ვრილი სიმწვანე ტოტების
მზეს გაერთვია, ბალახზე
დაეწყო ოქროს ზოდები.
ხმა არ ისმოდა ბრძოლისა,
არც დარბეულთა გოდების,
ამ ტყეში მიაბიჯებდა
გოგონა ფეხებშიშველი.
ტანთ კაბა შემოხვიოდა,
თმა ჩამოშლოდა გიმერის,
ჩუმად ამბობდა: „დედილო,
სადა ხარ, ვეღარ მიშველი!“
თითქოს უმძიმდა პატარას
ყოველი დადგმა ფეხისა, —
აღარ ილევა ადმართი,
გზას ბოლო აღარ ეღირება,
ამ დილანდელი შვლის ნუკრი
ბოკვერსა ჰგავდა ვეფხვისას.
წინ მიდიოდა გოგონა,
თვის თავს ებრძოდა, ძალობდა
პიონერული საყელო
ტყეში ვარდევით ალობდა.
ფოთლებში რაღაც ჩიტუნა
თავგამოდებით გალობდა.
უცებ ვიღაცამ ხმადაბლა
დასძახა: — „ვინ ხარ? შეჩერდი!“
შექი ჩაუდგა თვალებში,
მოშორდა ჭმუნვის ბეჭედი,
ეწინობის ქუდზე უცქერის
ეარსკვლავს, სხივებით შეჭედილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უთხრა: „—დილიდან დაგეძებთ,
რა გზები გამოვიარე!
გიპოვეთ! ეხლა რა მიჭირს
ვიცი, მომირჩენთ იარებს!“
გუშაგმა წყნარად დაღმვინა,
ძასთან მოვარდა მეორე
აქედან სხვებიც გამოჩნდნენ, —
ტყე აუვსიათ ქომრებს,
წრე შემოარტყეს გოგონას,
შეკითხვა გაუძეორეს.
წრეში შეჩერდა გოგონა,
თავი მწუხარედ დაჰკიდა...
ხის მორზე იჯდა უფროსი,
მორიგე ჰქონდა მაგიდად,
ალერსით ეკითხებოდა:
„—ვინ ხარ, პატარავ, რა გინდა?“
„—იმ სოფლის პიონერი ვარ,
სვეტლანა მქვია სახელად,
დილით, მზეს არც კი მოესწრო
ოქროს თვალების გახელა,
დაგვეცა მტერი მზაკვარი,
სიცოცხლე გაგვინაღვლა.
აი, ტყის პირად თუ გახვალთ,
სოფელს გაახვდავთ ამღლიდან, —
სოფლის ბოლოში ქეა-თეთრი,
სამფანჯრიანი სახლი დგას...
იქ ჩვენი ოჯახი იყო,
აღგვილი ფაშისტ ძაღლისგან.
ის უნდა იყოს უფროსი,
რადგან მეტს ყვირის ყველაზე...
დაბალი, ჩია კაცია,
ბურბუშელასაც ვერ ასწევს,
მაგრამ რამდენი დახვრეტა,
გაგზავნა საღრჩობელაზე!
ცხვარივით დაჰკლეს ჩემი და.
ოქსანა, სოფლის ჯადავარი,
დედა რომ წამოვშველა,
მტერი გაშმაგდა ნავარი:
დედას სიკვდილი ახარეს, —
ხეზე დაჰკიდეს ხარხარით.
როცა ოფიცრებს მობეზრდათ
სოფლის რბევა და თარეში,
ჩვენს სახლში მოიკალთეს.
თავს დაიყენეს ფარეში,
დათვრნენ, ჩაიღრჩვნენ არაყში
და ეხლა სძინავთ გალეშილთ.
მე დრო ვიხელთე, ძამიკო
ბოსტნებით გამოვპარე,
წყლის პირად თხრილში ჩავმალე,
იქ გავუკეთე საფარი,
თქვენ მოგაშურეთ, რომ გითხრათ
ნამდვილი განა ზღაპარი!“
თავი ასწია უფროსმა,
შუბლს ახნდა ფიქრის ღარები.
უცქერს მებრძოლთა სახეებს,
დამწვარს, ბზოა და ქარებით,
უცქერს, მათ სულში კითხულობს,
შეუღო გულის კარები.
შუბლი გაუხსნა მეთაურს
მათმა ვაჟკაცურ ბზერამ.
ფიქრობს: „რომელი მათგანი
რა სიმაღლეზე ვერ ავა?“
და ამბობს: „ჰეი, ვეფხვებო,
ვის გინდათ წასვლა მზვერავად?“
ტყესავით წამოიმართა
მეომარი მტაცეე ხელები,
სულგანაბულნი ელიან,
დგანან თვალგანახელებნი
და, როგორც არმიელები,
მათ ირგვლივ დგანან ხეებიც.
თვალი შეავლო უფროსმა
სახედაძაბულ მეომრებს,
ხელითა ანიშნა შავგვრემანს,
ვაჟაცს, მარჯვენიდან მეორეს,
უთხრა: „შენ წახვალ, ხადურო,
ფხას გაუსინჯავ მეკობრებს“.
— არის! :— მიუგო ხალისით,
ვაჟაცის თვალმა ინათა,
მხედრულად შემოტრიალდა,
სხვები დასტოვა ჩინართან,
წუთიც, და თვალდახელშუა
ბუჩქებში გაუჩინარდა.
გოგონას ეტყვის უფროსი:
— შენ კი აქ დარჩი, პაწიავ!
იქ მტერი არის საშიში,
ძაღლია, განა კაცია?
ერთად წავიდეთ, ჯერ მოვრჩეთ
საბრძოლო ოპერაციას.
ჩემს შვილსაც ჰქვია სვეტლანა, —
ქართულად ვეტყვივი: „ნათელა“,
ნუ შიშობ, მტერს არ შეევარჩენთ
თქვენი მიწაწყლის გათელვას,
შენი თვისტომის დახოცვას,
ხანძრების გადანათებას!
სვეტლანა ეტყვის შუდარით:
— გამიშვით, ნუღარ მაყოვნებთ.
პაწაწინაა ჯერ გრიცკო,
იმისი დარდი მაღონებს,
ფაშისტებს რომ ჩაუვარდეს
რა ძალა შესწევს, რა ღონე!
მოხიბლულიყო უფროსი
ამ სიმამაცის მშვენებით
გოგონას შუბლზე აკოცა,
მის თმას შეეხო ხელებით:
„—წადი, მშვიდობით იარე,
ჩვენც ძალე მოგეშველებით“.
წავიდა, გაჰყვა გუშაგი
ტყის ბოლომდისინ ატარა,
წელზე შეიხსნა, გადასცა
რძით ავსებული მათარა:
„—შენს გრიცკოს დაალევინე,
ალბათ რძე უყვარს პატარას“.
(გაგრძელება იქნება)

ანატ ს ევ. მიხაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალდონ ქორქია

ნეპტუნის მონათვლა

(თავი მოგზაურობიდან „ზღვის ამბები“)

— ნეპტუნი, ყმაწვილებო, ბერძნულ მითოლოგიაში ზღვის ღმერთს ეწოდებოდა და და მას ყოველთვის სამკაპით ხატავენ. ყველა ქვეყნის სავაჭრო ფლოტებში წესადაა შემოღებული ეკვატორზე გადასვლისას ნეპტუნის პატივსაცემად დღესასწაულის მოწყობა. დღესასწაული იმაში მდგომარეობს, რომ წყალში უნდა გაწუწონ ის, ვინც პირველად გადადის ეკვატორზე. ამ წესს ვერც კაპიტანი ასცდება ხოლმე. ნეპტუნის მონათვლა ყველა ახალბედა მეზღვაურმა უნდა განიცადოს. გაბუტვა და უარის თქმა არ შეიძლება. მე ორმოცი წელიწადია მეზღვაური ვარ და არც ერთხელ არ მინახავს, რომ ვინმეს ეს წესი დაერღვიოს. გარდა ამისა ზღვამ იცის ადამიანების დამგობრება. ხმელეთზე ადამიანები ისე ვერ დამეგობრდებიან, როგორც ზღვაში. ხმელეთზე შეგიძლია უმეგობროდაც იყო, თუმცა უმეგობრო ადამიანი ფუღურო ხესა გავს. ზღვა ეაქაცობის საქმეა. ეაქაცებმა კი კარგი და ნამდვილი მეგობრობა იციან. ზღვა ადამიანს ყოველმხრივ ცდის. ლაჩარი, უუქეფო და უმეგობრო კაცი ზღვაზე უუქმეელად დაიღუპება. აი, ხედავთ. მე შეა თითი არა მაქვს მარცხენა ხელზე? ეს თითი იაპონელმა მატროსმა მოჰკვნიტა სან-ფრანცისკოში. ერთ ჩემს ამხანაგს დაეცნენ იაპონელები. მე შევავრდი ჩხუბში და ცხვირპირი დავუნაყე მაკაკებს. ვიხსენი მეგობარი, მაგრამ ერთი წყეული მაკაკი მწვდა ხელზე და ჩამავლო კბილები. აი მოჰკვნიტა კიდეც! ბამაგიეროდ კბილებჩამტვრეული გავუშვით ათიე. აბა, ისინი იყვნენ ათნი, ჩვენ ორნი. მე და ერთი მეგრელი ბიჭი. ჰო, მეზღვაურებმა დიდი მეგობრობა ვიცით. დიდი... ხმელეთის ხალხში იშვიათად შეიძლება ისეთი თავდადებული და უანგარო მეგობრობა, როგორც მეზღვაურებში. მეზღვაური მეზღვაურის ძმაა ყველგან, ყველა ქვეყანაში, ყოველნაირ გაჭირვებაში. გემს რომ გაჭირება დაადგება, მეორე გემი გვერდით არ ჩაუვლის. თვითონ დაიღუპება, მაგრამ ამხანაგს კი გადაარჩენს. მე რამდენჯერ მინახავს, ეეცხლმოდებული სახლი, დგას ხალხი და ეუყურებს: მეხანძრენი გადაარჩენენო. ზღვაში აკრე არ არის. ზღვაში ყველა ერთისათვისაა, ერთი ყველასათვის. აბა!... გარდა ამისა, მეზღვაური ხმელეთის კაცზე განათლებულია და მკოდნე. მეზღვაური მეტს ხედავს, ბევრს ხედავს. სხვადასხვა ქვეყანას, სხვადასხვა ხალხს. ეს ამდიდრებს მის ცოდნას. მეზღვაურმა სხვადასხვა ენაც უნდა იცოდეს. რამდენი ენა იცი — იმდენი კაცი ხარ.

— შენ რამდენი ენა იცი, ძია?

— ექვსი.

— ვაჰ! იქვსი კაცი ყოფილხარ!

ყველას გაეცინა. კაპიტანმა განაგრძო:

— ზღვამ დიდი ხალისიც იცის. ხუმრობა, სიმღერა, მხიარულება მეზღვაურის საქმეა. სიტყვა გამიგრძელდა. ჰო და იმ ხალხსზე მინდა მოგიყვეთ. რომელიც მხოლოდ ზღვაში შეიძლება განიცადოს კაცმა. ყველა გემზე არსებობს უცვლელი წესი. რომელსაც „ეკვატორზე მონათვლა“ ან „ნეპტუნის მონათვლა“ ეწოდება. რომელი თავარალური სანახაობა შეიდრება ნეპტუნის მონათვლას? რამდენი გონებამახვილობა და ჭკუაა საჭირო, რომ ამ მონათვლაში პირველობა დაიჩემო?... აი როგორ ხდება ეს.

ეკვატორზე მიახლოების წინ მეზღვაურები ირჩევენ ზღვის ღმერთს, ან ნეპტუნს. ნეპტუნი უნდა იყოს გამოცდილი და ეკვატორზე რამდენჯერმე გადასული მეზღვაური. ეკვატორზე მისვლისას ნეპტუნი ჩაიცვამს გრძელ ხალათს, დაიდგამს თავზე თაბახის გვირგვინს, გაწეწილ კანაფისაგან წვერ-ულვაშს გაიკეთებს, აიღებს ხელში სამკაპს, გამობრძანდება გემბანზე და ელის კაპიტნის ნიშანს: როდის შედგება გემი ეკვატორზე? აი, დაირეკა ზარი. გემი ეკვატორზეა. მსოფლიოს ერთი ნახევარსფერო ერთ მხარეზეა, მეორე ნახევარსფერო მეორე მხარეზე. ეს დიდი, დიადი წუთებია ყო-

ველი მეზღვაურის ცხოვრებაში: შენ დგახარ მსოფლიოს შუა ადგილას, დედამიწის ქმაბრზე. ეკვატორზე. ახლა კიდევ ეს დიადი წუთები ხალისან და თეატრალურ ადათთანაა დაკავშირებული.

— ნეპტუნი მობრძანდება! — გაისმის კომანდა გემზე.

ნეპტუნს მოჰყვება ამალა, სასაცილოდ მორთული ხალნი. უკრავენ მუსიკას. რაც კი მუსიკალური იარაღია გემზე, ყველაფერი გამოყენებულია: გიტარა, მახდოლინა, ბანჯო, გარმონი, საკრავების გარდა გამოყენებულია ტაფა, ტაშტი, ჯაჭი, კასრი, ზარი, თეფში, ერთი სიტყვით ყველა საგანი, რასაც კი ხმის გამოცემა შეუძლია. წარმოიდგინეთ, რა კაკოფონია ატყდება ხოლმე გემზე! ამ კაკოფონიისას ნეპტუნი დაიჭერს მისთვის გამზადებულ ტახტს. ამ წუთიდან ეს ნეპტუნია გემის მბრძანებელი. კაპიტანიც მის განკარგულებებს ასრულებს.

— ეი, ვინა ხართ თქვენ? რა ხალხი ხართ? — ბრძანებს ნეპტუნი.

ეკიპაჟმა თავისი ეროვნების დროშა უნდა დასახელოს.

— ვინ არის ამ გემის უფროსი? — ისევ ბრძანებს ნეპტუნი.

— მე გახლავართ, უფალო ნეპტუნო! — ისმის კაპიტნის პასუხი.

— მომიახლოვდი!

კაპიტანი უახლოვდება.

— შენ როგორ გაბედე ჩემი საზღვრების გადმოლახვა? — მრისხანედ შეუტევს ნეპტუნი.

— მაპატიეთ, უფალო ნეპტუნო! მე მზადა ვარ გადავიხადო თქვენს მიერ დანიშნული ბაჟი და ჯარიმა! იმედი მაქვს, რომ არც თუ ძალიან გამორისხდებით. მზადა ვარ გემსახუროთ!

— აა, მზადა ხართ? კარგია რომ მზადა ხარ. გატყობ, გამოცდილი კაცი ბრძანდები. შენ პირველადა ხარ ჩემს საზღვრებში?

— არა, უფალო ნეპტუნო, მე რამდენჯერმე ვყოფილვარ აქა!

— ოჰო! სასიამოვნოა! მაშ, დამინიშნიხარ ჩემს მეფენეთუზეცესად. პირველად დაალვენე შენს თანაშემწეს, ჩემს ვარსკვლავთმრიცხველს, იმდენი ჭიქა კონიაკი, რამდენჯერაც გაგიფია ჩემი საბრძანებელი.

— ეგ შეუძლებელია, უფალო ნეპტუნო!

— ვითომ და რათომ?

— იმიტომ რომ ვარსკვლავთმრიცხველი მოკვდება; ოცი ჭიქა კონიაკი სულს ამოხდის ამ სიცხეში.

— მაშ, როგორ გინდა? ერთი ჭიქა კონიაკით გსურს მოიხადო შენი ვალი?

— რატომ ერთი ჭიქით? მე მზადა ვარ, სხვასაც დავალევინო. აქ სხვებიც ბევრნი, — თითო-თითო ჭიქას მივართმევ.

— ჰოო, ეგ კარგი სთქვი! მაგრამ ყველას ნუ დაალევინებ — დაალევინე მხოლოდ მონათლულებს.

— მონათლულებო, მოიწყეთ! — გასცა განკარგულება კაპიტანმა.

ყველა, ვინც კი ეკვატორზე ყოფილა და ნათვლის წესი შეესრულებია, ცალკე დადგა მწყობრში. ვინც პირველად იყო ეკვატორზე, გაანაპირეს და უმწყობრო გუნდივით დაწყეს. ეს გუნდი წყლით სავსე კასრებთან დააყენეს.

— ასეთი მონათლულებს! — ბრძანა ნეპტუნმა.

კაპიტანმა საკუთარი ხელით დაუსხა ყველა წინათ მონათლულს კონიაკი და დაალევინა. ესეც მეტად ხალისიანი წუთებია გემის ცხოვრებაში. რაც უნდა მრისხანე და მიუკარებელი იყოს კაპიტანი, ამ წუთებში ის უბრალო მეზღვაურია, სხვისი ნების შემსრულებელი, ადათის მორჩილი. ასეთია ზღვის კანონი. მან სასტიკ დისციპლინასთან ერთად საოცარი დემოკრატიული ჩვევებიც იცის.

აი, ჩამოიარა კაპიტანმა და ყველას გადაუხადა ვალი — ბაჟი. ამ დროს უკრავს მუსიკა და მღერიან სხვადასხვა შაირებს. სიმღერას ცეკვა მოყვება. ცეკვავს კაპიტანიც. ეს არის რაღაც უცნაური, ქაჯური ცეკვა. ერთსა და იმავე დროს მღერიან სხვადასხვა ენაზე, ასრულებენ სხვადასხვა ეროვნულ ცეკვას, იმის მიხედვით ვის რა ეხერხება. მთელი ეს ამღერებული და აცეკვებული ლიანგი თანდათან შეჰკრავს წრეს მოწყობილთა გარშემო. მოონათლავები კი დგანან გაშეშებულნი. ისინი პირველად ხედავენ ამ საოცარს, ჯადოსნურ სურათს, სადაც ყოველი მონათლული ფანტასტიურ სანახაობას წარმოადგენს.

— მონათლეთ მოონათლავნი! — გაისმა ნეპტუნის განკარგულება და ნეპტუნმა სამკაპი ასწია.

მონათლულები წამსვე ეცნენ მოონათლავებს და თავდაყირა ჩაუშვეს წყლით სავსე კასრებში. ზოგსაც თავზე გადაასხეს სავსე ვედროები წყალი. ეს ისეთის სისწრაფითა და მოულოდნელობით ხდება, რომ სანამ მოუნათლავნი გონს მოვლენ, ისინი უკვე გაწუწულნი არიან. ამ მონათვლაში, რასაკვირველია, ნათლიებიც სველდებიან. ნეპტუნის გარდა გემზე არც ერთი მშრალი კაცი არ რჩება.

ტროპიკული მზე კი წვავს და წვავს ყველაფერს.

მონათლულებიც და ნათლიებიც ასტეხენ სიცილ-ხარხარს. იმავე დროს ერთგვარ სიამესაც განიცდიან, რომ ამ პაპანაქებაში ტანი გაიგრილეს.

ამით რიდი თავდება „ტროპიკზე მონათვლა“. ახლად მონათლულებს ნეპტუნი სხვადასხვა დავალებებს აძლევს. უნდა ნახოთ, რა კომიკურ სანახაობას წარმოადგენენ ეს ადამიანები. ტანზე მიკრულია სველი ტანსაცმელი — ყოველი ნაკვთი მკაფიოდ ჩანს მოძრაობისას და სასაცილო შთაბეჭდილებას ქმნის. ნათლის ეს ნაწილი დამყარებულია სასაცილო მოძრაობათა გამოგონებაზე. ამ დროს ისეთი ჰომეროსული სიცილი დგას გემზე, რომ ამის შემდეგ რამდენიმე დღეს ყმა სტკივათ ხოლმე მეზღვაურებს. რაც უფრო ნიჭიერია ნეპტუნი, რაც უფრო მეტ რეჟისორულ ნიჭს გამოიჩენს, მით უფრო საინტერესოა ნათვლა. გონებამახვილი ნეპტუნის სახელი შორს გავარდება ხოლმე და ყველა გემზე ათასნაირ ზღაპარს თხზავენ. ერთხელ მეც ვუყავი ნეპტუნი და ტროპიკზე ნათვლა ჩვენებური კაპუნობასავით ჩავატარე. აბა, ტროპიკზე კაპუნობა ... მოვატანე ფქვილი, მოვაზელინე ცომი. წავაცხებინე ერთმანეთს ... თისავთის და გავამურვინე ერთმანეთი — შეეკერა დეგ შეკერებინე ღალა: სასმელი და საჭმელი.

ეს ისე მოეწონა ჩვენს კაპიტანს, რომ მითხრა:

— მეთვრამეტეჯერ გადაუდიეარ ეკვატორს, მეთვრამეტეჯერ ვუყურებ ამ მონათვლას, მაგრამ ასეთი ხალისიანი რამ ჯერ არ მინახავს...

ის-ის იყო ყველანი უნდა დაშლილიყვნენ, რომ მე სამკაპი აეწია და შეეძახე:

— სმენა და გაგონება! ძმებო და შვილებო!

ყველანი სმენად იქცნენ.

— თქვენ მონათლეთ ყველანი! დაგრჩათ ერთი! მონათლეთ ესეც!

— უფალო ნეპტუნო, ჩვენ ყველანი მოვნათლეთ! — გაისმა ირგვლივ.

— არა, ბატონებო! მოუნათლავი დაგრჩათ თქვენი ნეპტუნი! მე პირველად გადავდივარ ეკვატორს...

უნდა გენახათ, რა ამბავი დატრიალდა გემზე. ატყდა ტაში, სტვენა, ყვირილი, ხარხარი... საქმე იქამდე მივიდა, რომ კაპიტანმა განკარგულება გასცა სასმელი წყლის ხელუხლებელი მარაგიც კი მოეტანათ. აბა!.. ღონიერი იყო კაპიტანი. ამწია და ჩამაყენინა შიგ. ხა... ხა... ბოლოს, როცა ყველაფერი გათავდა, კაპიტანმა მკითხა სადაური ხარო?

— ქართველი გახლავართ, ბატონო კაპიტანო! ვუპასუხე მე. — ლადო მარჯანიშვილი.

და რადგან ვერ მიხვდა სად იყო საქართველო, რუსეთის იმპერია დავუსახელე. ახლა ყველამ იცის სად არის საქართველო, რადგან ყველამ იცის, ვინ არის დიდი ქართველი. დიდი სტალინი!.. მაშინ კი...

— ჰაი და ჯორჯიენ, ყოჩაღ ჯორჯიენ! — შემაქო კაპიტანმა და გამომიწოდა ხელი — როგორ გვათამაშე ამდენი ხანი?

შემდეგ მიუბრუნდა ეკიპაჟს და უთხრა:

— მეზღვაურებო, დაიმახსოვრეთ; მხოლოდ ზღვას შეუძლია ასეთი გამბედაობა და მხიარულება.

ოტარ ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩავიდა... მეთევზეთა ნავები დათქმულ დროზე არ დაბრუნდნენ. შიშმა მოიცვა შავი ზღვის პირის პატარა ქალაქის მეთევზეთა უბანი. ქალ-რძალი, მოხუცნი, თუ ბავშვები ზღვის პირას მოგროვდნენ და მოლოდინის კრთომით გაჰყურებდნენ შორს ზღვისა და ზეცის შეერთების ლურჯ ზოლს, რომელიც თანდათან მუქდებოდა და ახლოვდებოდა.

მეთევზეებს გული ეურჩებოდათ წასვლისას: მტერს ძლივს გადაურჩნენ წინადღით, ონავართა გეში ახლაც ახლოს იგრძნობოდა, მაგრამ თვე ილეოდა, თევზის ჭერის გეგმა ერღვეოდათ და რიდი მოვალეობის გრძნობამ სძლია.

განშორებისას მამა პატარა გოჩას შეჰპირდა: ოქროს თევზი უნდა მოგვაროო... მერე შუბლს ჩამოშლილ გრუზა თმებზე აკოცა და გასცურა მოღიმარმა მამამ... ხელს უქნევდა, შორიდანაც ამბორს უგზავნიდა ნაპირზე მოტანტალე ფეხშიშველა ბიჭუნას.

ახლა გოჩაც მოლოდინით გაჰყურებდა, ხან მოუთმენლად გადაჰკიოდა უცნაურად მიწყნარებულ ზღვას.

ვიღაც წუწუნებდა: შუადღისას ზღვაზე კვამლი შევნიშნეო... ძრწოდნენ ყველანი, მაგრამ გულს იყუჩებდნენ იმედოვნებით: ალბათ მტრის ჩამოგდებულ თვითმფრინავს თუ მიაცილებდა ის კვამლი ზღვის პირამდის...

გვიან დაწვნენ მეთევზეთა უბანში. მოუსვენარ ძილს მიეცნენ. იმედი უშუქებდათ დასეფდიანებულ გულს...

შუაღამისას უეცრად გაეღვიძა გოჩას, ზღვის პირას ლანდები შენიშნა ღია სარკმელიდან, მეთევზეები დაბრუნებულანო, გაიფიქრა და გახარებულმა ტაში შემოჰკრა. საბანი შორს ისროლა, სარკმელიდან ისკუპა, დაბალ ღობეს გადეკლო და გაფრინდა ზღვისაკენ... ნაპირზე ლანდები დაიზუზუნებოდნენ, საკმაოდ ნათელი ღამე იყო, მაგრამ სახეები მკაფიოდ არ უჩანდათ. ამაზე როდი უფიქრია გოჩას, ისინი ხომ მოგვიანებით დაბრუნებული მეთევზეები იყვნენ, რომელთაც გულის ფანცქალით ელოდნენ შინაურნი... გოჩამ ყველაზე პირველად გაიგო მათი მშვიდობით დაბრუნება, შეჰკაჟინებს, მთელ უბანს გაალვიძებს, ჯერ კი მამას შემოხვევა კისერზე, იმ დაბალ კაცს ანაზღად, რომ გასწორდა და ხელი გაიშვირა მიმხტუნავ გოჩასაკენ... რა ბედნაა სახის მკაფიოდ გარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...ოქმედება

...ობლო

ჩემი წკრიალა, ნარნარა ენა,
ქართველი ქალის მანანა სახე,
რუსთველის ტკბილი სიმების ჟღერა,
დამაქვს დიდებად და სიამაყედ.
ქართლში დაირწა მისი აკვანი,
ვინც რომ დიდების კარი გააღო,
ჩემი მამულიც აი, აქ არის,
რომლის სახელიც მაქვს საამაყოდ.

...გულის ნაწილი,
...სისხლი და სუნთქვა.
...ი და ტკბილი
...ბს.

...ავთანდილ სვანი
...ეთა მე-11 საშუალო
...ოლის მოსწავლე.

400

...ბუნების ...ლა

მინდვრად ბიბინებს ნორჩი ჯეჯილი,
ნიავი არხევს, ზღვასავით ღელავს.
ირგვლივ სიტურფე, ცაც მოწმენდილი
ლურჯი ღიმილით დაჰყურებს ყველას.

ნაღველი გულში არ მეგულება,
ოაღობს და ხარობს ეს ნორჩი გული.
ვიმ! რა კარგია ტურფა ბუნება,
ვიმ! რა კარგია ეს გაზაფხული.

თამაზ ებანოიძე
ხაშურის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლე.

წერილი ომგადახდილ მამას

სამშობლოსკენ მოიჩქარი,
გელოდება შინ მშობელი,
და გსურს ხილვა მშობელ მხარის
ომგადახდილს გელით, გელით!
დაბრუნდები და ჭრიალით
შემოაღებ სახლის კარებს,
და ოჯახი ბედნიერი,
შენი ნახვით გაიხარებს.
დაბრუნდები, გაგვახარებ,
იტყვი სახლში ბრძოლის ამბებს:
ხხვებთან ერთად მტერს რომ სპობდი
კავკასიიდან ბერლინამდე.
ჩვენ გაზეთში წავიკითხეთ,
რომ იბრძოდი თავდადებით,
მამა, არც მე ჩამოგრჩები
გეგებები სულ ხუთებით!

ალექსანდრე სამსონია
ბათუმის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე.



მეფე ერეკლეს და კოხტაბელადის შერკინება. ნახ. თბილისის ვაჟთა მე-19 სკოლის მოსწავლის ავთანდილ გაჩეჩილაძისა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲖᲘᲐ ᲔᲠᲘᲜᲗᲐᲕᲐ

ᲠᲐᲨᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔ

25 აგვისტოს, გამგზავრებიდან ერთი თვის შემდეგ, მთის სუფთა ჰაერით გაჯანსაღებულნი და მდიდარი შთაბეჭდილებით დატვირთულნი ეწვივნენ დედაქალაქს თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის ნორჩი მთასვლელნი.

ნორჩმა მოგზაურებმა ნახეს საქართველოს ბუნების მოძღვიანებელი სილამაზის სურათები, უზვად გაბნეული ბუნებრივი სიმდიდრენი: ტყეები, ტბები, მდინარეები, მთის კალთებიდან მოჩუხჩუხე მინერალური წყაროები... ინახულეს კურორტები შოვი და საირმე. ნორჩთა თვალწინ გადაიშალა ჩვენი ქვეყნის დიადი შშენებლობა, მათ ნახეს, თუ როგორ აშენებს ჩვენი მთავრობა, ბოლშევიკური პარტია გზებს, კურორტებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, როგორ ცვლის ბუნების სახეს ადამიანის სასარგებლოდ, ნახეს დაცული და მოვლილი ისტორიული ძეგლები, მოისმინეს მეცნიერული ახსნა-განმარტება მათ შესახებ. აგვისტოში თოვლზე სიარული იგემეს — ჯარეს ტყით, ალპური მინდვრებით, კლდოვანი ქედებით, მწვერვალებზე ავიდნენ და იქიდან დასაცქეროდან შორეულ ჰორიზონტზე მარად თოვლით მოსილ კავკასიონის მწვერვალებს. ნახეს ნაცნობ მდინარეთა სათავეები, მოისმინეს საუკუნეებით მჩქეფარე ჩანჩქერთა საუცხო სიმფონია.

გზაში ბევრჯერ ნისლი წამოეწეოდათ, ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაგრამ სიარული არ შეუწყვეტიათ, კოპპასის ისარით იკვლევდნენ გზას.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

პირველად ქუთაისს ეწვივნენ ნორჩი მოგზაურები. სადგურზე მათ დახვდნენ ქუთაისის პიონერთა სახლის მაღალმთიანი სალაშქრო ბანაკის მონაწილე მოსწავლენი, რომელთაც იმავე მარშრუტით უნდა ემგზავრათ. საღამოს პიონერთა ფორაზე, პიონერთა და მოსწავლეთა პარკში დიდი საზეიმო შეხვედრა მოეწყვა თბილისელ ამხანაგებს ქუთაისელმა პიონერებმა.

თბილისელმა მოსწავლეებმა დაათვალიერეს მთელი ინდუსტრიული ქალაქი. იყვნენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ბაგრატის ტაძრის გრანდიოზული ნანგრევებით გაოცებულნი დასაცქეროდნენ ნანგრევთა შორის გაბნეულ ჩუქურთმებიან ქვებს. ნორჩი მხატვარი გოგი თოთიბაძე ჰხატავდა, ნორჩი არქიტექტორები შეუდგნენ ტაძრის აღწერას.

მეორე დღეს ქვეითად ავიდნენ გელათის მონასტერში. აქ პატივცემულმა პროფესორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ნორჩ მთამსვლელებს უამბო, თუ რატომ ეწოდა გელათის მონასტერს აკადემია, ქართული კულტურის ათინა და რელიგიის იერუსალიმი.

გელათის ტაძრის კედლის მხატვრულმა მოზაიკამ მოაჯადოვა ბავშვები. დიდი სიხარულით იწერდნენ, რომ იმ დროინდელი მოზაიკა მსოფლიოში ბევრი არ მოიძოვება, რომელსაც შეუძლია გელათისათვის მეტოქეობის გაწევა. პატრიოტული სიამაყით უბრწყინავდათ თვალები განჯის რკინის კარები რომ ნახეს და გაიგეს, რომ აქვე დარუბანდის კარებიც ეკიდა, ჩვენ გმირ წინაპართა მიერ ნადავლად წამოღებული.

ჩვენი ერის ისტორია მათ თვალწინ ხორცს ისხავდა... მოწიწებით დასაცქეროდნენ დავით ალმაშენებლის საფლავს.

ᲖᲔᲥᲐᲠᲘᲡ ᲣᲦᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡᲘᲐᲙᲔᲜ

30 ივლისს მანქანით გაემგზავრნენ ქუთაისიდან. რამდენიმე წუთში უკან დარჩა მდინარე ყვირილა, რომელსაც დავიწყებოდა თავისი სახელი და უბმოდ, მდორედ მოიზლაზნებოდა. გავედით აჯამეთის ტყეში. ვარციხის საბჭოთა მეურნეობა. მწყობრად მდგარი გასხლული და შეწამლული ვაზები... ისევ აჯამეთი. მივდივართ შარა გზით, რომელიც მაიაკოვსკის გავლით და ზეკარის უღელტეხილით აბასთუმანს გადადის.

საბრეთისაკენ მთელს ჰორიზონტზე ამართულიყო ქედი, რომელსაც გეოგრაფი ვახუშტი ფერსათის მთებს უწოდებს, თანამედროვე გეოგრაფები კი აჯარა-ახალციხის ქედს. სწორედ ამ ქედიდან იღებს სათავეს მდინარე ხანის წყალი, რომლის ნაპირას მწვანე მოლზე პატარა იმერული ოდის წინ მოეფინენ თბილისელი სტუმრები. ეს გამოჩენილი რუსი პოეტის მაიაკოვსკის სახლი-მუზეუმია. განსაკუთრებული ინტერესით დაათვალიერეს პიონერებმა მუზეუმი, ინახულეს ადგილი ხანისწყალზე, სადაც პატარაობისას თევზაობდა პოეტი.

ამავე დღეს საღამოს ფერსათის მთებს შეუტიეს პატარეზმა. მიდიოდნენ საარმისაკენ. გაიარეს 10 კილომეტრი. ნახეგვარკუნ-

ძოლზე დაისვენეს, რომელსაც მდინარე ხანისწყალი და წაბლარისწყალი ერთმანეთთან შეერთებამდე ორმხრივ უვლიან და ამტბომაც ამ სოფელს ძველთაგან წყალთა შუა ჰქვიან. წაბლარისწყლის პირას გაშალეს კარვები და დაბანაადნენ. მეორე დღეს ერთმწკრივად დაწყობილნი მიდიოდნენ წაბლარისწყლის ვიწრო ხეობით. დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც აქ ბილოკსაც ვერ ეპოვნა ადგილი, გადმოწოლილი სალი კლდეები უფსკრულს გადასცქეროდნენ. ახლა კლდე ჩამოუკვეთიათ და კარგი საურმე გზაა გაყვანილი, რომელსაც ახლა აფართოებენ. საავტომობილო გზად უნდა გადაკეთდეს. ჩვენი თვალის წინ კეთდება ეს გრანდიოზული საქმე. ასეთი მნიშვნელოვანი გზის შენებლობა.

წყალთაშვიდან საირმემდე 18 კილომტრია, გზა სულ მდინარე წაბლარისწყალს მისდევს, ის ზოგჯერ წყლისპირას მდის, მაცოცხლებელი სიგრილე მოაქვს მთის მდინარეს.

ზოგჯერ კლდეები ერთმანეთთან ახლოს მოიწევს და ვიწრო ხეობას ჩამოაბნელებს, დაძლეულ აღმართს დასვენებისას რომ გადაჰხედავ, ნაცრობი მდინარე ხევის სიღრმეში პატარა ნაკადულის ოდენა ჩანს. ისევ დაღმართი, აქვე მდინარეც, წყურვილს ჰკლავს წაბლარისწყლის აქაფებული ჩანჩქერის შხეფები.—კიდევ ერთი ხიდი უნდა გაიაროთ და საირმეში იქნებით,— უპასუხებს გზის მშენებელი წინ მავალ პატარა მოგზაურს.

საირმეში

2/VIII, დილის 7 საათი. საირმე, ზღვის დონიდან 950 მეტრი, ხილვადობა კარგი. ცაზე ერთი ღრუბელი—ჩასწერა ნორჩმა მეტეოროლოგმა ინგა ლორთქიფანიძემ.

იმ დღეს საუზმის შემდეგ ხელახლა ამოქმედდა მოძრავი სამკითხველო, 60 წიგნი ჰქონდათ წამოღებული. გზადაგზა კითხულობდნენ და უცცლიდნენ ერთმანეთს. ყოველ ზურგჩანთაში ორი წიგნი თავსდებოდა მორიგ ბანაკიდან გასვლისას.

სადილობამდე კურორტის მიდამოები შესწავლილი იყო. მოინახა სავარჯიშო კლდეები, ყველა ბილიკები და უწინარეს ყოვლისა საბანაო და საცურაო ადგილები. საერთო სამშუხარო ის იყო, რომ ფეზბურთის მოედანი არ მოიძებნა და ფრენბურთმა ჰპოვა სარბიელი, თუმცა ისიც სჭირდა. და მდინარით გამეზავრებულ დაგორებულ ბურთს ხშირად უკანვე აბრუნებდა ცურვის ოსტატი, პატარა ალეკსი კაპანაძე.

საველე გაზეთის „ნორჩი მთასვლელის“ რედაქტორმა გოგი თოთიბაძემ რედკოლეგია შემოიკრიბა მეორე ნომრის მასალების დასამუშავებლად. მორიგე ბიჭები ტყეში შეშაზე წავიდნენ, გოგონები ბრიგადა-ბრიგადა ჩავენ.

10/VIII, მოეწყო გასაწრთვნელი და ამტანობის გამოსაცდელი უკანასკნელი ექსკურსია საირმიდან 5 კილომეტრ მანძილზე,—საკონდახის ხეობაში. მთაში სიარულს შეუჩვეველ ადამიანს ერთი კილომეტრი სამად ეჩვენება, მითუმეტეს აღმართი თუ სჯარბობს, მაგრამ ჩვენ მეგზურს, აქაურ ტყის მცველს 5 კილომეტრი ორად ეჩვენებოდა და დამწყებ მთასვლელებს აბრაზებდა. ვიარეთ ტყით. ბილიკი ზოგჯერ იკარგებოდა, გზაში გვხვდებოდა გაწოლილი უზარმაზარი ხეები, რომლებზეც ხალისით ასტებოდნენ პატარები, მაგრამ უფრო მეტად სახალისო იყო, წაქცეული ხეების ქვეშ ცოცვა.

გათავდა ხტომა და ცოცვა, მივიწყებული ბილიკი მინდორზე გავიდა—აქ ერთი სახლის ნანგრევი არის, ამ ადგილს ტაბოცეიფი ჰქვია—განაცხადა ჩვენმა მეგზურმა.

აი რას სწერს პატარა ტურისტი მზია ბაქრაძე დღიურში: „ტაბოცეიფი მდება-


ბორჯომი
ქ. ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიანი

რეობს საკონდახის ქედის ბოლოს, კურორტ საირმის სამხრეთ-დასავლეთით. რა საამო სიგრილეა! ზაფხულის დღის მცხუნვარე მზე აქ არ ოგრძნობა. ვდგავართ ნანგრევებში. მაღალი—500-600-წლიანი ხენი დგანან იმ კედლთა შორის, სადაც ოდესღაც დარბაზები იყო. იქნებ მესხეთიდან ფეოდალთის მთებს შეაფარეს თავი ჩვენმა წინაპრებმა და აქ იყო გაჩაღებული ცხოვრება. ჩვენს პირდაპირ მდებარე სერებს ერთს მამახეთი ეწოდება, მეორეს ასკაპარა. ვინ იცის მაშინ რა ეწოდებოდა, როდესაც ამ წისქვილის ქვას ოლდენ, ან ამ დარბაზებსა და გალავანს აშენებდნენ, ახლა რომ ნანგრევებად ქცეულან. სიჩუმეა. მინდორზე გაფანტულან ბავშვები და ხელმძღვანელები. ქუთაისის ბანაკიც ამ ექსკურსიაში ჩვენთან ერთად არის. ხეების ასაკს და მცენარეულობის სახეობებს არკვევს ‹ქუთაისის ბანაკის უფროსი, ბიოლოგი ალიკო მიქელაძე.

მიხა გედეგანიშვილმა მიწაში ჩამარხული ქვევრი აღმოაჩინა და ედიშერ ბაგრატიონთან-ერთად ზომავდა მისი პირის დიამეტრს. ორივენი გულმოდგინედ ჩიჩქნიდნენ მიწით ამოსვლებულ ქვევრს. ჩვენი „არქეოლოგები“ დაღონდნენ, განძეულობა რომ ვერ აღმოაჩინეს. ყოველი ჯგუფი ახალ-ახალ აღმოჩენას აცხობებდა ხელმძღვანელებს. მე და მაკამ ავზომეთ და ავწერეთ ერთი ნანგრევის ოთახები და დარბაზები. საღამოს დაღონებულნი ვბრუნდებოდით, რადგან ყველა ნანგრევთა აღწერა ვერ მოვასწარით“.

მეორე დღე — მწვერვალებისკენ გამგზავრების წინადღე იყო. ყველანი კარგად იყვნენ, მაგრამ კიდევ უფრო ჯანსაღად და ყოჩაღად გვაჩვენებდნენ თავს საირმიდან თბილისში დაბრუნების შიშით.

12 აგვისტოს დილის 9 საათზე მაღლიდან დავეცქეროდით ‹ჯურღმულში დარჩენილ საირმეს. აღმართს ბოლო არ უჩანდა, ტყის ჩრდილში მივდიოდით, გრილოდა. ზოგჯერ მზე დაგვნათობდა, მაგრამ დაკეცილი, გზაში განათვალი ბილიკი ჩქარა დაბლა, შორს რჩებოდა. სახედრეს უჭირდათ მცირე ტვირთის ზიდვაც. ცხენიდან გადმოხტა მთაში მიმავალი მწყემსი და ჩვენი ტვირთი აჰკიდა. ბავშვებს უარი არ ეთქმის, თქვა მეორე მხეთარმა, და მისი ცხენიც დატვირთული გაუდგა აღმართს. ჩვენმა ქარავანმა ორჯერ შეისვენა, ორჯერ დაარიგა დათუნა მუსხელიშვილმა შაქარი, იგი იმ დღეს მორიგე იყო. ჩვენმა სახედრემაც იგემეს შაქრის სიტკბო. ბავშვებს აინტერესებდა მათი გამომეტყველება ამ უჩვეულო საჭმლის მიღების დროს, მაგრამ მათ არც ფერი იცვალეს და არც გუნება. ისევ ზანტად მიაბიჯებდნენ. ჩვენ გვინდოდა ჩქარა ‹გვეთავებინა აღმართი. აქა-იქ გვხვდება უზარმაზარი გამხმარი ნაძვის ხეები. ქერქისგან ‹ცალკეული ნაგლეჯები ‹ეკიდა. ‹ეს ‹ეტყველებს, ‹ეს ‹ეს ‹ეს

მწვერვალი ლობოროტი აღმართული დასავლეთით, კარგად სჩანს მისი კლდოვანი მისასვლელები. ჩრდილოეთისაკენ მთელ ხაზზე, მცირე, ლობოროტი გაპიმული ან ადგილობრივი სახელწოდებით საუზნის წვერი. აღმოსავლეთით ბოსტანიას ქედი, ვხედავთ იმ ხეს, სადაც მდინარე ბოსტანია პატარა ნაკადულად მოედინება.

უმთავრო ღამე იყო. ჩვენი კოცონის ალი ვარსკვლავებს წვდებოდა, ბავშვებს მისი მოშორება ტკბილ ძილში დარდად ჩაყოლოდათ.

ამ დროს ქუთაისელი მთასვლელი ბიჭები მწვერვალ ლობოროტის კალთიდან ჩვენს კოცონს შუქსიგნალებით უპასუხებდნენ. ცხადია, მათ დაბრუნებამდე ჩვენი ბანაკის მეთაურებს არ გვძინებია, რადგან ცეცხლი მათ ჩვენი ბინის ორიენტირად უნდა ჰქონოდათ.

ნაშუაღამევის 3 საათზე მწვერვალიდან ახლად დაბრუნებული ქუთაისელი ბავშვები და მათი ხელმძღვანელები ცეცხლის ირგვლივ ისხდნენ და გემრიელად შეექცეოდნენ მათთვის დამზადებულ ცხელ ვახშამს. უხაროდათ, რომ შესძლეს მწვერვალ ლობოროტზე ასვლა და ღამით ლამქრობის სიტკბო და სიმწარე იგემეს.

13 აგვისტო. ძნელია იმის თქმა, თუ რა ფერად ნათლა. მთელი ბანაკი წამოიშალა. ყველანი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იცქირებოდნენ. მკაფიოდ ჩანდა თოვლიანი სვანეთის კაკაესონი... „უშბა“, „თეთნულდი“, „გისტოლა“, შხარა... თვლიდა სანე გაბრწყინებული მთასვლის ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე და ფიქრებით იქ იყო, იმ მწვერვალზე, სადაც ნიშში თოვლის ქვეშ მის მიერ დატოვებული ბარათები ეგულებოდა.

წავიკითხოთ ნორჩი მთასვლელის ნანა ფურცელაძის დღიური... „12 საათზე მივიტანეთ ეერიში მწვერვალ დიდ ლობოროტზე. მივდიოთ ყველაზე ძნელი გზით. აღმოსავლეთის კლდოვანი ფერდობით. წინ პატივცემული ალექსანდრა ჯაფარიძე მიგვიძღვის, ერთ მწკრივად დაწყობილნი მივდევთ მას. სულას კეტავს პატივცემული მზია ერისთავი. აღმართია. მივდიოთ ნელა. ყოველ ნაბიჯს ვზომავთ, რადგან არა ფრთხილად გადადგმული ნაბიჯი სახიფათოა,—შეიძლება ქვა, რომელზედაც ფეხს დგამ მოწყდეს და თან გადაგიყოლოს. ავიარეთ კლდოვანი კალთა და თვალწარმტაც ალპურ მინდვრებს მივადექით. რამდენიმე წუთის წინ გავლილი გასაჭირი დავავიწყდა. გარშემო ბალახებში ელავდნენ ცისანები, ლეჩიჯი, თეთრი, ვარდისფერი და იისფერი მაჩიტები, ყვითელი მზიურა და ათასნაირი სხვა ყვავილი, რაც შეიძლებოდა, ძირიანად ამოვიღეთ ჩვენი ჭერბარიუმის ბადეს შემატეთ.

გადავიარეთ ყვავილოვანი მინდორიც. ახლა ირგვლივ მხოლოდ შქერია და ზედ სიარული ჭირს. ეს შქერი ტყის ზონას არ გავს, აქ გამეფებულ ქარსა და სუსხს დაუჩაგრავს და ათასნაირად დაკლაკნილი, დაკნინებული გართხმიან მიწას. მივადექით თოვლს. შეგვიძლია მას გვერდი ავუხვიოთ, მაგრამ ჩვენ გვინდა ისე ავიდეთ მწვერვალზე, როგორც ნამდვილი მთასვლელები ადიან, რომ შემდეგ უფრო მეტი სიამოვნებით ვატაროთ „ნორჩი ალპინისტის“ სპატიო ნიშანი. პატივცემული ალექსანდრა თოვლზე საფეხურებს სჭრიდა, წელზე დამცველი თოკი მოიბა, რომელსაც გავყევით ჩვენ. გადავლახეთ თოვლიც. გვახარებს, კინოაპარატის მუშაობის ხმა, რომ გვესმის. 3 საათსა და 30 წუთზე მწვერვალზე ვართ. სუფველას სინარულით გვიცემს გული. ნიშიდან ქუთაისელი ბანაკის მიერ წუხელ ღამით დატოვებული წერილი ამოვიღეთ და სამაგიეროდ შიგ ჩვენი ხელმოწერა დავტოვეთ.

დაღამებამდე ბევრი დრო იყო. რუკა მიწაზე გავშალეთ, ზედ კომპასი მოვათავსეთ და მოვიმზირეთ — სამხრეთით ორ ქედს გადაღმა თეთრ, მსუბუქ ღრუბლებში მწვერვალი მეფისწყარო, აღმოსავლეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმული კლდოვანი ორი მწვერვალი — ეს დიდმადალა იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთით რიონის დაბლობი. ქუთაისი.

მწვერვალიდან ჩამოსვლა აღარ დაგვნანდა, რადგან ჩამოწოლილმა ნისლმა ხედი დაფარა“.

ის ღამე ლობოროტის ძირში გავათენეთ. ჩვენს კარვებს ძლიერი ქარი ეშუქრებოდა,

მწვერვალისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამაოდ. პალოები მკვიდრად იყო ჩასობილი მიწაში.

14 აგვისტო. დილის 9 საათზე გავუდექით გზას მეფვარვალ მეფისწყაროსაკენ. ამინდი თანდათან უარესდებოდა, მივდიოდით კარგი ბილიკით, რომელიც ქედს მისდევს და მეფისწყაროს გადასავლით ადიგენში გადადის. უცაბ, თითქოს განგებ ჩვენთვის, ნისლი გაირღვა. ვართ მშვენიერ მინდორზე, აქვე არის მწვერვალი მეფისწყარო, ბავშვებს სცოიდათ, დაიწყეს ხტომა, თამაში. ბარგი და სახელფრები აქვე დავტოვეთ და გავუდექით მწვერვალისაკენ, როგორც კი ავუდექით აღმართს, ისევ ნისლი, ყინულიერი წვიმა და თითქოს ჩვენზე გაბრაზებული ქარი გვცემდა სახეში. ყველა კარგ გუნებაზე იყო, როცა სველი ნელებით სიას თავის გვარს და სახელს უმატებდნენ, რომელიც იქვე მწვერვალზე უნდა დაგვეტოვებინა.

უნაგირას გადასავლით მწყემსის ბინასთან ჩავედით. ლამაზი მთის აღმოსავლეთ ფერდობზე. კარგი ბინა უპოვიათ დასაბანაკებლად მწყემსებს.

15 აგვისტო. ლამაზი მთის ძირში ვართ. კარგად ჩანს მწვერვალი დიდმაღალი. მარცლაც დიდი ჩანს და მაღალიც, მეფის წყარო, უფრო მაღალი მწვერვალია ზღვის დონედან, მაგრამ აქაურები უფრო პატივს დიდმაღალსა სცემენ. ამ ქედზე ყველაზე მაღლად ის მიაჩნიათ, უთუოთ იმიტომ, რომ ის მაღალია, მის ირგვლივ მდებარე არემარეზე, კლდოვანი და უფრო მიუვალია.

დიდმაღალას მწვერვალზე

ჩვენც გავყევით დიდმაღალისაკენ. ისევ ნაცხობი ნისლი შემოგვეგება წინ. ჩვენდასაბედნიეროდ ნისლი აქა-იქ იცრიცებოდა და დიდი მხატვრის თამამი ფუნჯით დახატული სურათები ოშლებოდა ჩვენს თვალწინ. ფუნქვეშ ვთელავდით ალპურ მინდორს.

სიჩუმე იყო. ნისლი გვდევდა დადამებამდე. მხოლოდ ერთგული კომპასი ჩრდილოაღმოსავლეთს აჩვენებდა, სადაც კიდევ დავინახეთ მწყემსების ბინა—ჩვენი ღამისთევის ადგილი. მთვარიანი ღამე წამოგვეშველა და 11 საათზე დიდმაღალის ძირში ვიყავით.

მეორე დილით 16 აგვისტოს უკანასკნელი—ყველაზე ძნელი მწვერვალისაკენ გაუდექით. კლდეებზე ახლა უფრო თამამად მიდიოდნენ ლობორტუზე გამოცდილი მთაელები. 2 საათზე მწვერვალიდან სამხრეთისაკენ უცქერიოდნენ დიდ არარატს. აქვე ჩანდა მცირე არარატი და ალაგიზი. აღმოსავლეთით სურამის ქედი, მაგრამ ყველაზე მეტად ახარებდათ თამ მიერ გავლილი გზას, რომ გადაავლეს თვალი. აკარა-ახალციხის ქედის უმაღლესი მწვერვალები მეფისწყარო, დიდი ლობორტი, დიდმაღალი, იქ ნიშნი ინახება მათი ბარათები.

დიდმაღალიდან შარაგზამდე სამი კილომეტრია. ეს ახლად გაყვანილი შარაგზა წითელი მინდვრიდან დიდმაღალის გადასავლით ზეკარს ქვეკით ახასთუმნის შარაგზას უერთდება.

17 აგვისტოს ჩვენი მთასვლელები ახასთუმანს ესტუმრნენ. ასტრონომიული ობსერვატორია ზღაპრულ საკვირველად გაჩენილა. ობსერვატორიამ და შიგ გამეფებულმა განწყობილებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ახალგაზრდებზე. ეზოში ფეხაკრეფით დადიოდნენ, რომ ზედმეტი ხმაურით ხელი არ შეეშალათ მეცნიერული მუშაობისათვის. ბევრი მთგანნი დაინტერესდა და უკლებლივ ჩაიწერეს ექსკურსიის ხელმძღვანელის ყოველივე სიტყვა.

ვარძიაში

ახასთუმანში სამი დღის დასვენების შემდეგ ვარძიისაკენ გაემზადვნენ.

მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირით გავუდექით გზას აღმოსავლეთისაკენ. სოფელ ოხერის შემდეგ მტკვრის ხეობას მივყვებით. ახალციხიდან შვიდი კილომეტრი გავიარეთ. გზიდან მარჯვნივ დავინახეთ საფარა. მივდიეართ. გზაშარიდან მარჯვნივ უფერულ გარემოში ოაზისივით გამოჩნდა სოფელი რუსთავი, დიდი რუსთაველის სამშობლო. მივდიეართ მტკვრის მარჯვენა ნაპირით. ასპინძა. კარგად ჩანს ასპინძის ციხის ნანგრევები, ბორაზე გაშენებული მთელი სოფელი. ბაღ ქვეკით გადის. შემდეგ სოფელს მარცხნივ სტოვებს და გაიკაკებს. ასპინძის პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპრას 1770 წლის 20-21 აპრილს მომხდარი ამბები ცოცხლდება ჩვენი თვალის წინ. „ასპინძის ბრძოლა" მეფე ერეკლემ ამ ომით შეაძარწუნა მისი მტრები აღმოსავლეთში. ბავშვები ერთმანეთს ასწრებენ ასპინძის ომის აღწერას. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენს თვალწინ აღიმართა კლდეზთან შეაისსლოოოცებული ციხე-სიმარე. ეს საქართველოს მატიანეში ზშირად ნახსენები მომჯადოებელი ხერთვისის ციხეა.

მანქანა ნელა ვატარეთ ჯერ მარცხნივ ახალქალაქის გზას აუყვევით შემდეგ მოვბრუნდით ხიდზე გადავედით და ვარძიისაკენ გადავუხვიეთ.

გზა მაღლა-მაღლა ადის. მაღალ, მიუვალ

კედელზე ჩანს ფანტასტიკური, მტრისაგან აუღებელი, კლდეებზე გაშლილი თმოგვის ციხე. პატარებმა კარგად დაიმახსოვრეს თმოგვის ციხის ფარული გვირაბები, რომელთა წყალობით გასძლო ექვსთვეს ალყაშემორტყმულმა თმოგვმა. მტერს მეციხოვნეები ამოწყვეტილი რომ ეგულებოდა მაშინ მაღლა ციხიდან ქართველებმა მტერს თავზე ცოცხალი თევზები გადაყარეს, რამაც ტყვიაზე მეტად შეაშინა და განაცვიფრა ისინი. შეიძლება მაშინ უწოდეს ამ ციხეს თურქებმა შაითან ყალა (ეშმაკის ციხე). დავთვალიერეთ სოფელი ზედა ვარძიის კლდის ძირში დარჩენილი XI საუკუნის უხვად მოჩუქურთმებული ეკლესიის ნანგრევები და შემდეგ ცნობილი ვარძიის გამოქვაბულთა ნაშთი—მესხეთის დიდი წარსულის ცხებურჯი.

მთის შუანაწილში, ერთი შეხედვით, ათასი მრავალ სართულათ დაწყობილი უკარო ოთახი წარმოგიდგებათ. სანახობას კიდევ მეტ გრანდიოზულობას მატებს დახლართული, სხვადასხვა მხრივ მიმავალი, სხვადასხვა სიმაღლის ურიცხვი კიბეები. ზედ მოეფინენ ბავშვები—უნდოდათ ყველა გამოქვაბულში შესვლა—ნახვა, ვარძიის ირგვლივ ყველაფრის გაგება.

უტყუარი ცნობით თამარ მეფის მიერ არის დამთავრებული ვარძიის მშენებლობა. აქვე უცნობარია მას. მოკრძალებით შევიდნენ პატარები თამარის ოთახში, დიდხანს იდგნენ პატარები მის პორტრეტთან. მემატიანეს თქმით, თამარს ვარძიიდან გაუგზავნია თავისი ლაშქარი ყარსის დასაცავად, აქვე მოსულა თამარი სპარსთა მიერ დაპყრობილი ანისის გასანთავისუფლებლად, რომ აეზადებდა თავისი ლაშქარი.

მონღოლთა მიერ მრავალჯერ აკლებული იყო ვარძია, მაგრამ მისმა სიმდიდრემ XVI საუკუნეში გააოცა შაჰთამაზი. მან გაძარცვა და გაიტაცა ყოველივე განძეულობა.

დღევანდელი ვარძია მხოლოდ დიდებული წარსულის ნაშთი არის. წყალსადენის ტოსა, დარბაზი, ტაძარი, იშვიათი ოსტატობით შესრულებული ფრესკებით ჩუქურთმებიანი სამრეკლო და სხვ. გავიარეთ სამალავი გვირაბი—შინაგანი ფარული გზა. კედლებში გამოჭრილ ბუდეებში ანთებული ჭრაქები გვინათებდა, თორემ ბნელში აქ მოძრაობა ყოვლად შეუძლებელია.

დავტოვეთ ვარძიის გამოქვაბულები და მტკვრის მეორე მხრიდან ვუცქეროდით მას. ბავშვები წერდნენ, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ხშირად ახსენებდნენ რუსთაველს.

გამოქვაბულთა პირდაპირ მთაზე ახალქალაქისაკენ მიიკლაკნება ჯერ დაუმთავრებელი საავტომობილო გზა. კლდეების აფეთქების ხმა მოიცავს არე-მარეს, რამდენიმე წამს შემდეგ სათითოოდ ვარძიის ყველა ოთახი ხმას გამოსცემს, დაიგუგუნებს და მტკვრის ხეობას მოაქვს ხმა ვარძიისა.

23 აგვისტოს დავტოვეთ ვარძია. ხელახლა გადავავლეთ თვალი თმოგვს, წუნდის ტბას, ხერთვისს, ასპინძას, რუსთავს, ახალციხეს. ბორჯომში ღამით შევედით. გვაცილებდა ჩვენი მესხი თანამგზავრი მდინარე მტკვარი.



გელათის აკადემიის ნანგრევები.

ჟიორჟი ლომთათიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კულტურის ძველი კერა

წერილი მეოთხე*

საფეხურები უდაბური მთის კალთაზე

1940 წლის შემოდგომაზე, თითქმის სწორედ იმ დღეებში, როდესაც არმაზისხევთან ერისთავთა სამარხები აღმოჩნდა, ექსპედიციას საყურადღებო ამბავი ჩამოუტანეს მტკვრის მარჯვენა ნაპირი კლდოვანი მთიდან, რომელსაც მცხეთელები ბაგინეთს ანუ ბაგნითს უწოდებენ. არქეოლოგიურ დაზვერვაზე მომუშავე ერთ-ერთ თანამშრომელს მენახირემ ამ მთის ჩრდილო კალთაზე აჩვენა თლილი ქვის კიბის სამი საფეხური, ნიაღვრისაგან გაშიშვლებული.

ჩვენს პირველ წერილში უკვე მოგვიხდა წინასწარ ორიოდე სიტყვის თქმა ძველი მცხეთის ციხე-ქალაქის შესახებ. როგორც ირკვევა, იგი სწორედ ბაგინეთის მთაზეა საგულისხმებელი და დღესდღეობით ბაგინეთის ძეგლები არმაზისხევის ძეგლებზე ნაკლებ რიდი არიან სახელმოხვეჭილი.

ბაგინეთის მთა წარმოადგენს თრიალეთის ქედის ერთ-ერთ ჩრდილო შტოს, ე. წ. დიდი მთის კონცხს, რომელიც ზაპეესის საგებარსა და მცხეთის სადგურს შორისაა დაყუდებული, ჯვარის მონასტრის პირდაპირ. მისი ფრიალო თხემიდან კალთებს ორი მიმართულებით თითქმის ძირამდე ჩამოუყვება აშკარად შემაღლებული „ზურგები“. ამ უკანასკნელთა შორის მოქცეულია მოზრდილი სამკუთხოვანი სივრცე. ამ სივრცეზე გამოორჩევა სხვადასხვა დონეზე მდებარე რამდენიმე ვაკაი ანუ ტერასები. ეს ტერასები ხელოვნურია, ნაგებობათათვის მოსწორებული. თლილი ქვის საფეხურები „ზურგებს“ აუყვება ასწვრივ. როგორც ტერასებზე, ისე ფერდობზე, ბილეკებსა და ნაღვარევებზე ბლომად ჯარი აგურის, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ზოგ მათგანს ცეცხლის მოქმედების აშკარა ნიშნები ეტყობა...

ეს წინასწარი დაკვირვება უკვე საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ჯერ კიდევ 1940 წელს წარმომდგარიყო არქეოლოგთა წინაშე ზოგადი სურათი ისეთი ძეგლისა, რომლის მსგავსი მცხეთაში ჯერ არსად გათხრილიყო. ბუნდოვანი იდუმალებიდან თანდათან გამოისახა ნაქალაქარი, მრავალი საუკუნის წინ დაქცეულ-გადამტვრეული საცხოვრისის ნამთები. ცხადი შეიქნა, რომ ბაგინეთის უკაცრიელ ხრიოკზე მოდებული ღვინის და რცხილის ჯაგნარი ოდესღაც „კეთილშენი“ და ხალმრავალი ქალაქის ნანგრევებს ჩაბალუებია ნოტიოს დახარბებული, ღვლაჭრილი ფესვებით.

1941 წელს ბაგნითზე უკვე დიდი მუშაობა უნდა გაშლილიყო, მაგრამ ამას ომმა შეუშალა ხელი. მხოლოდ 1943 წლის შემოდგომაზე მოხერხდა მცხეთის გათხრების განახლება და ბაგნითზეც უკვე ბევრი რამ გაითხარა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ბაგინეთის რაზმის მუშაობა 1944 წელს.

მცხეთის „შიდაციხე“

ახლა აღარავინ ეუბნობს, რომ ბაგნითზე აღმოჩენილი ნაშთები ეკუთვნიან ძველი, ფარეთიდ განფენილი მცხეთის იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც ისტორიული წყაროები იხსენიებენ „არმაზის ციხის“ ან „არმაზციხის“ ან უბრალოდ „არმაზის“ სახელწოდებით და რომლის მდებარეობასაც იმგვარად აგვიწერენ, რომ თვალწინ წარმოგვიდგება სწორედ ბაგინეთი. ზოგი მატიანე „თავად ციხეს“ (ე. ი. მთავარ ციხეს), ხოლო ზოგი „შიდაციხეს“ უწოდებს მას. მისი აღწერილობა უცხოელი მწერლები ხმარობენ სიტყვა „აკროპოლისს“, რაც ბერძნულად თითქმის ზუსტად გადმოგვცემს ძველ ქართული „შიდაციხის“ შინაარსს.

თუ გავიხსენებთ ჩვენს პირველ წერილში მოთხრობილ ქართველებისა და რომაელების ბრძოლას ეპაზოდს, ახლა უფრო ცხადი გახდება, თუ რომელი ციხის აღების

---

* წერილები მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შესახებ. დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერი“ № 1, 4,6.

შესახებ გვქონდა იქ საუბარი, სწორედ ეს „თავადი ციხე“ იცავდა დედაქალაქის მტკვარგაღმა მდებარე უბნებს, ვინაიდან იქ ხანების ყველაზე უფრო სამაგრი შემოსვევანი სწორედ მტკვარს სამხრით მდებარე რაიონებიდან იყო მოსალოდნელი. თავისთავად ცხადია, რომ აქ მხოლოდ ციხე არ იქნებოდა და მეციხოვნეთა გარდა მრავალრიცხოვანი მოსახლეობაც განხლებოდა გალავანს შიგნით, იმ სამკუთხოვან სივრცეზე, რომელიც ზღუდეებს შუა არის მოქცეული. საერთოდაც ასე სჩვევიათ ციხე-ქალაქებს.

გათხრები ბაგინეთის სამ უბანზე სწარმოებს. ამათგან ერთი სულ ქვედა, ყველაზე დიდ ტერასაზეა, დანარჩენები კი გალავნის ზღუდეებს ასწვრივ. იოანეცა, რომ ეს ზღუდეები ალაგ-ალაგ გაძლიერებული ყოფილან წინგამოწეული, გაფართოებული ნაწილებითა და საგუშაგო კოშკებით. მთის წვერი ზღვის დონიდან 680 მეტრის სიმაღლეზეა აწევდილი. აქ იყრის თავს გალავნის ყველა ზღუდე და, ჩანს, მდგარა ციხე-სიმაგრის უმაღლესი კოშკი, როძლიდანაც შესაძლო იქნებოდა მთელი ბიდა-მოსათვის და დედაქალაქისაკენ მოძავალი ყველა გზისათვის თვალყურის დევნება. საერთოდ მთელი ციხე-სიმაგრე ძალიან მარჯვედ შერჩეულ ადგილასაა აგებული. იგი ჰკეტავს სამ მოზრდილ ხეობას, რომელნიც „დიდი მთიდან“ იწყებიან და მცხეთის მიმართულებით ჩამოდიან მტკვრისაკენ. ამ ხეობათა სათავეებში და მათ გაღმა-გამოღმა მაღლობებზე აგებული ყოფილა მცირე ციხეები და სათვალთვალო კოშკები, რომელნიც „თავადი ციხისადმი“ დაქვემდებარებულ სისტემას ქმნიდნენ.

„თავადი ციხის“ სამხრეთი, ე. ი. ყველაზე უფრო საფრთხილო მხარის დამცველი ზღუდე ორი კედლისაგან შედგება. ამათგან გარეთა უფრო ახალი ჩანს. შიდა კედლის სიგრძე 400 მეტრს აღწევს, ხოლო სიგანე — 3-3,5 მეტრს. მას ჰქონია 4 კოშკი. რომელთაგან ამჟამად დარჩენილია მხოლოდ ფუძეები, აგებული დიდრონი, კარგად თლილი ლოდებით. კედელი, ჩანს, რამდენჯერმე დაგრეულა და კვლავ აღდგენილა; უკანასკნელად ეს უნდა მომხდარიყო V-VI საუკუნეებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც მცხეთა ჯერ კიდევ დედაქალაქობდა. კედელს შიგნიდან გაუყვავია თხრილი, რომელიც, ეტყობა, საგუშაგო კოშკებს აკავშირებდა ერთმანეთთან.

შიდა კედელი გარს ერტყმის მწვერვალს, გადადის დასავლეთისაკენ და უერთდება გარეთა კედელს. შერწყმის ადგილასაც რამდენიმე კოშკია. ამრიგად შექმნილია დაცვის რთული სისტემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთა კედელი უფრო მძლავრი ჩანს. მისი სისქე 4-4,6 მეტრამდე აღწევს. მისი კოშკები გაცილებით უფრო დიდი ყოფილან, ეს ბუნებრივიაცაა, ვინაიდან გარეთა კედელს მეტი პასუხისმგებლობა აწევს ყოველთვის. გარეთა კედელიც სამჯერ არის განახლებული.

კოშკებიცა და ზღუდეებიც დახურული ყოფილან კრამიტით, რომელიც ყოველგვარი ძალისან ჰგავს არმაზისხევისა და სამთაოროს კრამიტს. ეს სწორედ ის კრამიტი უნდა იყოს, რომელიც ძველი ბერძენი მოგზაურების გაოცებას და მოწონებას იწვევს, როგორც დიდად განვითარებული სამშენებლო ტექნიკის მანიშნებელი მასალა.

გარეთა კედლის ძირას მიწაში აღმოჩნდა ქვის მოზრდილი ბირთვი. ისინი უნდა წარმოადგენდნენ სატყორცნელ ქვებს, რომელთაც ძველად უშენდნენ ხოლმე ალყაშემორტყმულ ციხეებს.

სამგზის დანგრეული და განახლებული ქალაქი

ზღუდეებს შორის მოქცეული ქალაქის ნაშთები ქვედა ვაკობზე გაითხარა. ამყამად გამორკვეულია, რომ აქ ერთსა და იმავე ადგილას სამს სხვადასხვა დროს არსებულ ქალაქთან გვაქვს საქმე. სამჯერ განადგურებასთან და კვლავ აღდგენასთან.

სულ ქვედა ფენა, უძველესი ქალაქის შესაბამისი, საინტერესო ნაგებობათა ნაშთებს შეიცავს. გამომზეურებულ იქნა ერთი დიდი, სასახლისებრი შენობის ფუძე, აგებული მოწითალო ქანის უშველესი თლილი ლოდებისაგან. შენობის შიგნით აღმოჩნდა თლილი სვეტების ნაწილები. ათასობით იყო წითლად შეღებილი კრამიტის ნამტვრევები — ეტყობა, ჩაქცეული სახურავიანა. თვით ნაგებობის ხასიათი მოგვაგონებს „შიდაციხის“ ზღუდეებს და ალბათ ისინი ერთსა და იმავე ხანას ეკუთვნიან.

საშუალო ფენამ მოგვცა კიდევ უფრო დიდებული სასახლის ნანგრევები. კარგადაა შენახული მისი ჩრდილო „სადარბაზო კარი“ და დარბაზისებრი ოთახების კედლები. აქა-იქ შემორჩენილა სახლის ფასადების შემამკობელი ორნამენტიანი ქვის ნამტვრევები. ამავე ფენაში შრავლად აღმოჩნდა მინისა და თიხის მოხდენილი ჭურჭლის ნამტვრევები. ეს ფენა და მისი ძეგლები უკვე ახალი ზეგავლენის პირველ საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდნენ.

ჯერ კიდევ უძველეს ქალაქში ჰქონიათ გამოყვანილი სამხრეთით მდებარე ტყიანი გორაკის წყაროებიდან სასმელი წყალი თიხის მილებით და საოჯახოდ სახმარი წყალი ქვის ღია ღარებით. ეს ორივე წყალსადენი გალავნის ზღუდეებს ქვემოდან გამოუვლის და ისე შემოდის ქალაქში.

უახლეს ფენას უკვე საშუალო საუკუნეთა დასაწყისამდე მოვყავართ. ეს ის დრო უნდა იყოს, როდესაც მცხეთის დედაქალაქობა და არმაზის „მიდაციხეობა“ ისტორიულ დასასრულს უახლოვდება. მისი ნაგებობანი უფრო სუსტი და ნაკლებ საინტერესო ჩანან, ვიდრე ძველი ფენებისა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ეს ქალაქი საბოლოოდ გაანგრიეს მიწასთან არაბ დამპყრობლების ლაშქარმა VII საუკუნეში. თვისი სისასტიკითა და გულქვაობით ცნობილმა სარდალმა მუტრან ყრუმ ბევრი რამ გაანადგურა საქართველოში და სხვათა შორის არმაზციხეც დააქცია და დაანგა. შეიძლება სწორედ მის მიერ დანთებულ ხანძარს მოწმობდეს, ცეცხლისაგან გარუჯულ-შემოღლობილი აგურისა და კრამიტის ნაშთები ვრცელების სიმრავლე ბაგინეთის მთის ფერდობებზე.

* * *

მცხეთის ექსპედიცია განაგრძობს მუშაობას ერთი ღრმა შეგნებით: მართალია, მან უკვე ბევრი ბრწყინვალე ძეგლი ამოამზეურა საქართველოს უძველესი დედაქალაქისა და კულტურის კერის, მცხეთის მიწიდან, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც კვლავ უნდა აეხადოს მივიწყების საბურველი და რამაც დღევანდელი, სოციალისტური საქართველოს შვილთა ცნობისმოყვარე თვალთა წინაშე უნდა წამოაყენოს იმ ძველთაძველი, მამაცი და გამრჯე თაობების ნამოქმედარი, რომელთაც ჩაუყარეს საფუძველი საქართველოს, როგორც კულტურული და ყველასათვის ანგარიშგასაწევი სახელმწიფოს ოცსაუკუნოვან არსებობას.



გილათის ხედი. მოსწავლე გოგი თოთიბაძის ნახატი

ᲓᲘᲯᲘᲢᲣᲠᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Შ. ᲡᲘᲛᲝᲜᲔᲚᲘ

ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ადამიანის ცხოვრებაში დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და რაც უფრო რთულია ცხოვრება, რაც უფრო ძაღლ საფეხურზე ადის ადამიანის შრომა, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დროს. ადამიანი ყოველთვის ცდილობდა გაეზომა დრო და თავისი მუშაობა დროის შესაბამისად ეოწესრიგებინა. ჯერ კიდევ ძველად ადამიანი მიხვდა, რომ დროს საუკეთესო საზომი თვით ბუნებაშია. ეს არის დღე და ღამის ერთობლობა, ესე იგი დღე-ღამე, რომელიც წარმოადგენს დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ერთი შემობრუნების დროს.

რაკი ძირითად საზომ ერთეულს მიაგნო ადამიანმა, მის წინაშე შემდეგი ორი ამოცანა დაისახა: ერთის მხრივ—ამ ერთეულის უფრო წვრილი ერთეულებით გაზომვა, ესე იგი დღე-ღამის საათებად, მინუტებად და სეკუნდებად დანაწილება, მეორე მხრივ — ამ ძირითადი ერთეულით დროის დიდი მონაკვეთის გაზომვა,—თვე, წელწადი. ეს მეორე ამოცანა გადაჭრილ იქნა კალენდრის, ესე იგი დღეებისა და წლების აღრიცხვის მეცნიერული წესების შემუშავებით.

ჩვენ საუბარი ახლა ამ კალენდრის ირგვლივ გვექნება.

ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲚᲓᲒᲐ ᲗᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘ

თანამედროვე ევროპული კალენდარი ძირითადად ძველ რომში შემუშავდა. თვეების სახელწოდებაც უძველესი დროიდან, რომაელებისაგან მომდინარეობს. რომაელებს სწამდათ სხვადასხვა ღმერთები და ზოგიერთი თვეს მათი სახელი უწოდეს. ზოგსაც ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულის სახელი და სხვ.

პირველი თვის სახელწოდება—იანვარი სიტყვა „იანუსი“-საგან წარმოსდგა. რომაელებს სწამდათ „დროისა და ყოველი დასაწყისის“ ღმერთი იანუსი, რომელსაც გამოსახავდნენ ორპირსახიანს. ასევე, წლის პირველი თვე, ძველი და ახალი წლების მიჯნა, ორპირსახიანი ჰქონდათ წარმოდგენილი,—ერთით ძველ წელს რომ უცქეროდა, მეორეთი—ახალს, და ამიტომ ამ თვის განსახიერებად იანუსი მიიჩნიეს.

მეორე თვის სახელწოდება—თებერვალი ძველი რომაული რელიგიური დღეობასწაულის „ფებრუალიოს“ სახელწოდებისაგან

ᲘᲐᲜᲣᲡᲘ

წარმოსდგა. ძველ რომაელებს ასეთი ველური ჩვეულება ჰქონდათ: ფებრუალიას დღესასწაულზე ქურუმები დარბოდნენ ქუჩებში თხის ტყავისაგან გამოჭრილი ღვედებით ხელში და სცემდნენ ყველა ქალს, რომელსაც კი წააწყდებოდნენ. ლათინურად ღვედს „ფებრუა“ ეწოდება, აქედან ამ დღესასწაულს „ფებრუალია“ დაერქვა.

მესამე თვე რომაელებმა მიუძღვნეს ომის ღმერთს მარსს, რომელიც თავდაპირველად ყოფლის მეურნეობის ღმერთად ჰყავდათ მიჩნეული. ამ სახელისაგან წარმოსდგა „მარტი“.

მეოთხე თვის სახელწოდება — აპრილი წარმოსდგა ლათინური სიტყვისაგან aperire (აპერირე)—გახსნა. ამ თვეში აპენენს ნახეკარკუნძულზე, რომში ისნება, იწყება გაზაფხული. გაზაფხულის დადგომას ძველი რომაელები „აპრილიას“ დღესასწაულით ეგებებოდნენ.

მეხუთე თვეს მაისი დაერქვა—ღმერთმოციქულის მერკურის დედის მაიას პატივსაცემად.

მეექვსე თვის — ივნისის სახელწოდების წარმოშობის შესახებ ორი მოსაზრება არსებობს. ზოგის აზრით ამ თვეს ეს სახელწოდება ქალღმერთ იუნონას პატივსაცემად დაერქვა, ზოგი კი ფიქრობს, რომ ეს თვე მეძღვნა რომის პირველ კონსულს, იუნიოს ბრუტოსს.

ივლისი დაკავშირებულია იულიოს კეისრის სახელთან. 45 წელს (ძველი წელთაღრიცხვით) ძველი რომის უდიდესი სახელმწიფო მესვეურისა და სახელგანთქმული სარდლის იულიოს კეისრის სიკვდილისწინა წელს მისი სახელი მიაკუთვნეს მეშვიდე თვეს.

მერვე თვეს აგვისტო დაერქვა რომის

პირველი იმპერატორის ოქტავიოს ავგუსტის პატივსაცემად.

დანარჩენი თვეების სახელწოდების წარმომობის ისტორია მარტივია. რომაელებს თავდაპირველად წელიწადი მხოლოდ ათ თვედ ჰქონდათ დაყოფილი, და მაშინ მარტი მათთვის პირველი თვე იყო, სექტემბერი კი მეშვიდე. ლათინურად შვიდი არის septem (სეპტემ), აქედან—**სექტემბერი; რვა**— octo (ოქტო), აქედან ოქტომბერი; ცხრა— novem (ნოვემ), აქედან—ნოემბერი. და, ბოლოს, ათი—decem (დეცემ), აქედან—დეკემბერი.

წელიწადის 12 თვედ დაყოფა მოხდა მეფე ნუმა პომპილიუსის დროს, როდესაც ათ თვეს დაემატა იანვარი და თებერვალი, მაგრამ რომაული კალენდარი მეტად აწეწილი იყო, ვიდრე მისი რეფორმა იულიოს კეისარმა არ მოახდინა 46 წელს (ძველი წელთაღრიცხვით) მეცნიერი ბერძნის ეგვიპტელი ასტრონომის სოსიგენ ალექსანდრიელის უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით. იულიოს კეისრისა და ნაწილობრივ მისი მემკვიდრის იმპერატორ ავგუსტის დროს მიეკუთვნა თვეებს ის სახელები და მიეთვალა ამ თვეებს დღეების ის რაოდენობა, რაც დღემდე დაცულია, კალენდარს კი იულიოსის კალენდარი ეწოდა.

თვით სიტყვა „კალენდარი“ წარმოსდგა შემდეგნაირად: ყოველი თვის პირველ დღეს რომაელები „კალენდეს“ უწოდებდნენ. სიტყვა „კალარე“-საგან (calare) წარმოებული, რაც „მოწვევას“, „მოხმობას“, „ხალხის საკრებულოდ დაძახებას“ ნიშნავს . აი აქედან წარმოსდგა სახელწოდება „calendarium“ —კალენდარი.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ახალ წელს კალნდა ეწოდება და წინადღით, ახალი წლის შესახვედრად „სპკალანდო პურ-ღვინის“ ე. ი. საახალწლო პურ-ღვინის საშაბდისი იყო ხოლმე.

როგორ შემოვიდა თვეების რომაული სახელწოდება ქართული ენის ხმარებაში?

ქართველი ერი ძველი ხალხია. ჩვენ ურთიერთობა გვქონდა მაღალი კულტურის მქონე ძველ რომთან, ძველ საბერძნეთთან. აქედან შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ენაში თვეების რომაული სახელწოდება. და განა მარტო ქართულ ენაში? თვეების რომაული სახელწოდება დღეს თითქმის ყველა კულტურული ერის ხმარებაშია, თვით იულიოსის კალენდარი კი, ცოტაოდენი შესწორების გამო, შეიცვალა ახალი კალენდრით.

იულიოსის კალენდარი ანუ ძველი სტილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გამოიწვია იულიოსის კალენდრის შეცვლა?

ამ საკითხის ნათელსაყოფად მოკლედ გავეცნოთ იულიოსის კალენდრის აღნაგობას.

ადამიანმა უკვე თავისი კულტურის პირველ საფეხურზეევე შეამჩნია, რომ წლის სხვადასხვა დრო—გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი პერიოდულად ცვლიან ერთი მეორეს წლის განმავლობაში, და აი დროს მსხვილ საზომ ერთეულად მან აიღო

იულიოს კეისარი

ეს წელიწადი. მაგრამ ჯერ კიდევ ძველმა ეგვიპტელებმა შეამჩნიეს, რომ წელიწადი არ შეიცავს დღე-ღამის,—ამ ძირითადი საზომი ერთეულის მთელ რიცხვებს. საქმე ისაა, რომ მზე გაზაფხულის ბუნიობას (როდესაც დღე ღამის სწორია) ზუსტად 365 დღე-ღამეში კი არ უბრუნდება, არაუდ დაახლოებით 365 ¼ დღე-ღამეში. ამრიგად, მზის წელიწადი ანუ ასტრონომიული, ნამდვილი წელიწადი შეიცავს წილადებით გამოსახულ დღე-ღამეს, კალენდრული წელიწადისთვის კი წილადებით დროს გაზომვა შეტად მოუხერხებელია, ამიტომ იულიოსის კალენდარში თვეებს მთელი რიცხვებით გამოსახული დღე-ღამე მიეთვალა,—მაგალითად, აპრილი 30 დღე-ღამეს ითვლის, მაისი—31-ს, თებერვალი—28-ს, ზოგჯერ—29-ს და ა. შ. ეს მითვლა ისეა ნაწარმოები, რომ სრული წელიწადი 365, ზოგჯერ კიდევ 366 დღე-ღამე გამოდის. ამის მიხედვით იულიოსის კალენდარში სამი „მარტივი“ წელიწადია 365 დღე-ღამით თვითეული და ყოველი მეოთხე „ნაკიანი“—366 დღე-ღამით.

იმის გამოსაცნობად თუ რომელია „ნაკიანი“ წელიწადი, საკმარისია ვისარგებ-

ლოთ რიცხვის 4-ზე გაყოფადობის ნიშნით:—წელიწადი „ნაკიანია“ თუ წელიწადის გამომსახველი რიცხვი ბოლოვდება ორი ნულით ან თუ მისი ორი უკანასკნელი ციფრი შეადგენს რიცხვს, რომელიც 4-ზე იყოფა. ასე, მაგალითად, „ნაკიანნი“ იყო 1900 წელი, 1904 წელი, ჩვენთვის უახლოესი 1944 წელი და ა. შ. თებერვალი მხოლოდ „ნაკიან“ წელიწადში მითვლის 29 დღე-ღამეს.

მაგრამ დღეების ასეთი მითვლა თუმცა ადვილებს დროს აღრიცხვას, სამაგიეროდ ზუსტს ვერ იცავს. საქმე ისაა, რომ საშუალო არითმეტიკული სამი „მარტივი“ და ერთი „ნაკიანნ“ წლებისა შეადგენს 365 ¼ დღე-ღამეს, ანუ 365 დღე-ღამეს და 6 საათს. მაგრამ ასტრონომიული წელიწადი მხოლოდ დაახლოებით შეიცავს 365 ¼ დღე-ღამეს, ზუსტად კი—365 დღე-ღამეს 5 საათს 48 მინუტსა და 46 სეკუნდს, ე. ი. იულიოსის წელიწადი ასტრონომიულზე უფრო გრძელი გამოდის 11 მინუტითა და 14 სეკუნდით. მაშასადამე, იულიოსის კალენდარი წელიწადს უფრო გრძელი ერთეულით ზომავს, ვიდრე ეს სინამდვილეშია: მით გაზომილი დრო ერთი წელიწადიდან რომ გეგონია, ნამდვილად ერთი წელიწადი და კიდევ 11 მინუტი და 14 სეკუნდია. ამრიგად, ნამდვილმა წელიწადმა გაგვასწრო, თუმცა ძალიან ცოტათი, მაგრამ მაინც გაგვასწრო. რაც 128 წელიწადში ერთ დღე-ღამეს შეადგენს. სხვანაირად რომ ვთქვთ, იულიოსის კალენდრით ყოველ 128 წელიწადში ერთი დღე-ღამით ჩამორჩენა გვაქვს.

ეი ამ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია იულიოსის კალენდრის შეცვლა.

ახალი სტილი

1582 წელს რომის პაპმა გრიგოლ XIII-მ დროს ნგარიში გადასწია წინ 10 დღე-ღამით, რაც დაგროვდა პირველი ქრისტიანული კალენდრის შედგენიდან (325 წ. ახალი წელთაღრიცხვით) 1200 წლის მანძილზე, და ახალი ჩამორჩენის შესამცირებლად შემდეგი ცვლილება შეიტანა იულიოსის კალენდარში. დადგენილ იქნა, რომ „ნაკიან“ წელიწადად ჩაითვალოს სრული საუკუნის გამომსახველი მხოლოდ ის წლები, რომელთა საუკუნეების რიცხვი 4-ზე იყოფა. ამის მიხედვით 1600 წელი „ნაკიანია“, 1700, 1800 და 1900 „მარტივი“, 2000 წელი „ნაკიანნ“ იქნება და ა. შ., რადგან 16, 20 — 4-ზე იყოფა 4-ზე, 17, 18, 19 კი იყოფა 4-ზე. ყველა დანარჩენი წლებისათვის, გარდა საუკუნის წლებისა, „ნაკიანნ“ წლების გამოთვლა კვლავ ოგივე დარჩა, რაც იულიოსის კალენდარში,—ესე იგი ყოველი სამი „მარტივი“ წლის შემდეგ მეოთხე „ნაკიანია“. საუკუნის წლები კი, იულიოსის კალენდრით რომ ყველა უკლებლივ „ნაკიანად“ ითვლება, ახალმა კალენდარმა, როგორც დავინახეთ, ყოველი ოთხიდან მხოლოდ ერთი დატოვა „ნაკიანად“, სამი კი „მარტივ“ წლად ჩათვალა. ყოველ 400 წელიწადში, ამრიგად, სამი „ნაკიანის“ ამოგდებით დროის საზომი ერთეული შედარებით უფრო ზუსტი გახდა, რითაც ჩამორჩენა შემდგომში საგრძნობლად მცირდება: ნაცვლად 128 წელიწადისა, მხოლოდ 3.300 წელიწადში დაგროვდება ერთი დღე-ღამით ჩამორჩენა.

როგორც ვხედავთ, აბსოლუტურად ზუსტი არც ეს კალენდარია, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტი კალენდარი არც შეიძლება იყოს და არცთუ ისე აუცილებელია იგი ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ასე რომ კალენდრის კიდევ ახალი შეცვლა აღარაა მოსალოდნელი, მიზანშეუწონელია.

ამ შესწორებით კალენდარი, რომელიც ახალი სტილის სახელით შეიქნა ცნობილი, ჭმარებაში შემოვიდა დასავლეთ ევროპაში თანდათანობით, რუსეთში კი მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 1 თებერვლიდან ფამკვიდრდა. 1 თებერვალი დეკრეტით 14 თებერვლად გამოცხადდა, რადგან განსხვავება ძველსა (იულიოსის კალენდარსა) და ახალ სტილს შორის ამ დროისათვის 13 დღეს შეადგენდა. საერთოდ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ძველ და ახალ სტილს შორის განსხვავება XVIII საუკუნეში 11 დღე-ღამეს შეადგენდა, XIX საუკუნეში—12 დღე-ღამეს, XX საუკუნეში კი 13 დღე-ღამეს შეადგენს, და ეს უკანასკნელი დარჩება 2.100 წლამდე.

მხოლოდ ამ განსხვავების შესწორება მოახდინა ახალმა კალენდარმა, დანარჩენი,—მაგალითად, თვეების სახელწოდება, დღეების რაოდენობა თვეებში—ყველაფერი ხელუხლებლად დარჩა იულიოსის კალენდრიდან.

:: მითოლოგიის :: ლექსიკონი

პოსეიდონი (ნეპტუნი) — ზევსის ძმა იყო, ზღვის ღმერთად ითვლებოდა და ზღვათა ზევსს უწოდებდნენ. ძველ ბერძენთა რწმენით მისი ადგილსამყოფელი ზღვის სიღრმეში იყო ზღვისპირა ქალაქ ეგის მახლობლად.

პოსეიდონი სკიპტრის (სამკაპის) ერთი დაქნევით მრისხანე, ძოელვარე ზღვას დაამწყნარებდა და დაწყნარებულს აახვირთებდა სურვილისამებრ; ერთი დარტყმით კლდეებს აპობდა და მიწის წიაღიდან წყაროებს ამოაჩუხჩუხებდა, ანდა დედამიწას ისე შეაზანზარებდა, რომ მთელი ქალაქები და ციხესიმაგრეები ინგრეოდა. ამიტომ მას „მიწისმრყეველი" ეწოდებოდა. საბერძნეთში მრავალი კუნძული ვულკანური წარმოშობისა არის და მიწისძვრა ხშირი მოვლენაა. ძველი ბერძნები მიწისძვრას ღვთიურ ძალას აწერდნენ და წყალთა უფალი პოსეიდონი მიაჩნდათ ამ ძალად, რადგან მათი წარმოდგენით დედამიწა ზღვაზე დასცურავდა, მასზე იყო დაყრდნობილი. ამის და მიხედვით პოსეიდონს მეტსახელად კიდევ „მიწისდამჭერი" ჰქვიოდა.

თავის მეუღლე ამფიტრიტესთან ერთად, რომელიც მან ზღვის ულამაზეს ფერიებს შორის ამოარჩია, წყალთა უფალი დასცურავდა უზარმაზარი ნიეარისაგან გაკეთებული ეტლით, რომელშიც დელფინები ან ზღვის თეთრი რაშები — სიმბოლო აქაფებული ზღვისა — ჰყავდა შებმული; ეტლს ცურვით მიპყვებოდნენ ნერეიდები, ტრიტონები და ზღვის სხვა მერაზარისხოვანი ღმერთები — ამალა პოსეიდონისა. პოსეიდონით ძველ ბერძნებს განსახიერებული ჰყავდათ წყლის სტიქია მთელი მისი მრავალფეროვნებით — ხან მღელვარე და მრისხანე, ხან მშვიდი და ალერსიანი.

პოსეიდონი ზღვაოსნობის მფარველად ითვლებოდა. ძველ საბერძნეთში, განსაკუთრებით ზღვისპირა ქალაქებში წყალთა უფლის პატივსაცემად შესანიშნავი ტაძრები იყო აგებული და ბრწყინვალე სადღესასწაულო ზეიმი და ასპარეზობა იმართებოდა. ყოველ ოლიმპიადაში ორჯერ იმართებოდა.

ლატერანის პოსეიდონი. ქანდაკება დაცულია რომში (იტალია) ლატერანის მუზეუმში.

მაგალითად, ისთმოსის ასპარეზობა კორინთის ყელზე (ისთმოსზე).

ცხოველებიდან პოსეიდონს მიძღვნილი ჰყავდა ცხენი, რომელიც, მითოლოგიის გადმოცემით, მან თვითონ შეჰქმნა.

პოსეიდონს რომაელები ნეპტუნს უწოდებდნენ.

ნეპტუნი ასტრონომიაში ეწოდება ერთ-ერთ პლანეტას, მზისაგან მერვეს მისი სისტემის 9 დიდ პლანეტას შორის. ნეპტუნის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია, მაგრამ ძლიერ ტელესკოპშიც კი მხოლოდ მკრთალი მომწვანო ბირთვის სახით მოჩანს.

პოსეიდონის (ნეპტუნი) მრავალ ქანდაკებათა შორის განთქმულია მარმარილოს ქანდაკება, რომელიც მიბაძავა IV საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) გენიალური მოქანდაკის ლიზიპოსის ბრინჯაოს ქანდაკებისა. წყალთა უფალი მშვიდად დგას ზღვის ნაპირზე და აზვირთებულ ტალღებს გასცქერის. მარცხენა ხელით იგი დაყრდნობილია სამკაპზე, რომელიც მისი ძალა-უფლების სიმბოლოს წარმოადგენს. სქელი და უხვი თმა, მსგავსი ზღვის ტალღოვანი ზედაპირისა, უწესრიგოდ ჩამოშლია ნაოჭადაკრული შუბლზე. თვალები ოდნავ მოუჭუტავს. იგრძნობა უსაზღვრო სევდა, კაეშანი. ასეთი სევდა იპყრობს ხოლმე ადამიანს, როდესაც გასცქერის უსასრულო სივრცეს. ლიზიპოსს ღმერთის გამოსახვაში ახალი ელემენტი აქვს შეტანილი. ლიზიპოსის პოსეიდონი წყლის სტიქიის მარტო უფალი, მბრძანებელი როდია; იგი ამავე დროს ამ სტიქიის განსახიერებაა. მისი პოსეიდონი ბრგე, ზორბა შესახედაობის ვაჟკაცია, განსაკუთრებით კარგად განვითარებული მკლავებითია და მძლავრი გულმკერდით, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ცურვასა და ნაოსნობაში გაწაფული ადამიანისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედალუსი — ათენის ზღაპრულ მხატვრად, მოქანდაკედ და არქიტექტორად ითვლებოდა. მითოლოგიის გადმოცემით, მარმარილოსაგან შექმნილი შესი ქანდაკებანი ცოცხალი თვალებით იცქირებოდნენ და გეგონებოდათ ეს-ესაა ამოძრავდებიანო. ამიტომ იყო, რომ დიდი ოსტატობით შესრულებულ ყოველ ნამუშევარზე ძველად იტყოდნენ ხოლმე „დედალოსისაა“. მხოლოდ ერთადერთი ადამიანი უწევდა დედალუსს მეტოქეობას ხელოვნებაში. ეს იყო მისი დისწული და მისი მოწაფე პერდიქსი. მაღალბუნებოვანს ხელოვნებაში, მაგრამ სულმდაბალს პირადულ საქმეში დედალუსს შეშურდა ახალგაზრდა დისწულის შეუდარებელი ნიჭი ხელოვნისა, მოჰკლა იგი, გაიქცა ათენიდან და თავი შეაფარა კუნძულ კრეტაზე ძლევამოსილ მეფე მინოსს. ბევრი გასაოცარი რამ შეჰქმნა დედალუსმა მეფე მინოსისათვის. მან ააგო გრანდიოზული სასახლე ლაბირინტი ისეთი დახლართული შესასვლელებით, რომ შიგ ერთხელ შესული უკან ვეღარ გამოიგნებდა გზას. ეს იყო მშენებლობის ოსტატობის საოცრება. დიდხანს ცხოვრობდა დედალუსი მინოსთან. მეფეს სურდა მხოლოდ მას ჰყოლოდა ასეთი უბადლო ხელოვანი მთელ ქვეყნიერებაზე და არსად არ უშვებდა დედალუსს თავის სამეფოდან. ვეღარ მოითმინა დედალუსმა ტყვეობა, გაიკეთა ფრთები. ასეთივე ფრთები გაუკეთა თავის შვილს იკარუსს და გაფრინდნენ კუნძულიდან. ფრენით გატაცებული იკარუსი, მიუხედავად მამის გაფრთხილებისა, წავიდა ზევით, სულ ზევით და მცხუნვარე მზეს მიუახლოვდა, რის გამო დადნა სანთელი, რომლითაც ფრთები იყო შეკრული, და ჩამოვარდა იკარუსი. ჩამოვადარა იგი ეგეოსის ზღვაში, ამიტომ ამ ზღვის ერთ ნაწილს — კუნძულ სამოსის, პაროსისა და მცირე აზიის სანაპიროს შორის იკაროსის ზღვა ეწოდა, ერთ-ერთ კუნძულს კი, რომელზეც იკაროსის გვამი მოიტანა ზღვის ტალღებმა — იკარია დაერქვა. დედალუსი მიფრინდა კუნძულ სიცილიაზე. დიდხანს იცხოვრა აქ, თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები კი დანატრებულ სამშობლოში. ათენში გაატარა და წინაპარი გახდა ათენელ ხელოვანთა სახელოვანი მოდგმისა — დედალიდების.

დედალუსი ბერძნებისათვის უძველესი დროის უბადლო ხელოვანისა და უდიდესი გამომგონებლის სიმბოლო გახდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ დედალუსის ყველაზე დიდ მიღწევად არა მისი ქანდაკებები და ნაგებობანი, არამედ ჰაერში გასაფრენად მის მიერ გამოგონილი ფრთები ითვლებოდა. კაკობრიობის ოცნება ჰაერში თავისუფლად ფრენისა მთელი თავისი სილამაზითა და სიძლიერით არის ასახული ამ ამბავში. „უკვე უზაფვალ დროში, — ამბობს მაქსიმ გორკი, — ადამიანი ოცნებობდა ჰაერში ფრენის შესაძლებლობაზე, — ამაზე მეტყველებენ ლეგენდები ფაეთონზე, დედალუსსა და მის შვილ იკაროსზე, აგრეთვე ზღაპარი მფრინავი ხალიჩის შესახებ“... ამაზე მეტყველებს, ვიტყოდით ჩვენ, გენიალური მოთა რუსთაველის ფანტაზია. მის „უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ გმირ ავთანდილის თხოვნით ფატმანი ავალებს თავის მონა გრძნეულს წაიღოს ქაჯეთს „წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანთანა“, და აი —

მან ნრძნეულმან მოღი რაში წარიოსხა ზედან ტანსა,
მასვი წაშა გარდიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა.

ამაზე მეტყველებს აგრეთვე ქართული მითოლოგიური ეპოსის გმირი ამირანის მიერ ღრუბელთ უფლის ელიას ასულის ყამარ-ქალის ბროლის კოშკიდან მოტაცების ამბავი. კოშკისთვის რომ მიეწერა, რომელიც „ჯაჭვით ეკიდა ზეცაზედ“, ამირანი თხოვნით მიმართავს თავის ძმას—ბადრს, მთვარის სხივს, რომელსაც თეთრად გაუნათებია ღრუბლები: „ბადრო, მათხოვე თეთრონნი“...

გადრმა ათხოვა თეთრონი,
დაიძრა ბემი ღრუბლისა.
ცის კამარაში მისცურავს
უფიფრად ღრუბელთ უფლისა.



იკაროსის დაღუპვა. ფრესკა (ედლ.ს მხატვრობა) პომპეიში.

სხარგული სიტყვები

კალამბური — მოხდენილი სიტყვებით ოხუნჯობა. ზმა.

VIII ს. პარიზში ცხოვრობდა ენამახვილი მეაფთიაქე, გვარად კალამბური. მის ოხუნჯობებს მთელი პარიზი იმეორებდა. ამის შემდეგ ასეთ ოხუნჯობას კალამბური ეწოდა. ზოგნიც ასე ფიქრობენ, თითქოს ეს სიტყვა იტალიურისაგან წარმოსდგა: „კალამო ბურლარე“ — ნიშნავს კალმით ოხუნჯობას.

ჩინური კედელი — გამიჯვნა, გათიშვა მეზობლებისაგან. III ს. ა. წ. ჰუნები დაესხნენ ჩინეთს და დაიპყრეს. შემდგომი თავდასხმისაგან უზრუნველსაყოფად ჩინელებმა უზარმაზარი კედელი ააგეს თავიანთი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებზე. კედლის სიგრძე 2.500 კილომეტრს უდრის, სიმაღლე 10 მ., განი 6 მეტრს.

ალფა და ომეგა — ყოველი საქმის თავი და ბოლო.

ალფა ბერძნული ალფაბეტის პირველი ასოა, ომეგა უკანასკნელი.

ქამელეონი — მერყეი დამოკიდებული კაცი, რომელიც ყოველგვარი მდგომარეობის შეგუებას ცდილობს ანგარების მიზნით.

ქამელეონი ერთგვარი ცხოველია აფრიკაში, იგი გარემოს მიხედვით ხან გაშავდება, ხან გაფითრდება, ხან აჭრელდება, რომ თავი დაიცვას.

რევანში—სამაგიეროს გადახდა; ფრანგული სიტყვაა.

1703 წ. გერმანელები დაამარცხეს ფრანგებმა ქ. შპაირბახში. 1704 წ. გერმანელებმა დაამარცხეს ფრანგები და ტყვედ წაიყვანეს მარშალი ტალარი.

— ახ, ბატონო მარშალო, ეს შპაირბახის რევანშია!—უთხრა მარშალს გერმანელების წინამძღოლმა პრინცმა ჰესენ-კასელმა. მას შემდეგ ეს სიტყვა მთელ მსოფლიოს მოედო.

შინაარსი

გიორგი შაბგერაშვილი—კალორობა (ლექსი) გარეკანის მე-2 გვ.
გერონტი ქიქოძე—ეკა-ფშაველა (წერილი) 1 „
ვაჟა-ფშაველა—ი ა (მოთხრობა) . . . . . 3 „
მარიკა მიქელაძე—თეთრი სახლი (საბაჭვო პოემა) . . . . 5 „
როდიონ ქორქია—ნეპტუნის მონსთელა (თავი მოთხრობიდან) . . . . 9 „
ოთარ ჩხეიძე—გორა (მოთხრობა) . . . . . 12 „
მ. სუგრაფულაძე—როგორ გაჩნდნენ ყაყაჩოები (ლექსი) . . . 13 „
ნიკოლოზ კანდელაკი—გიორგი საკაძე (ფურცლები საქართველოს ისტორიიდან) . . 14 „
ბაუშვთა შემოქმედება . . . . . 16 „
მზია ერისთავი—ლამპრობის ერთი თვე (ნარკვევი) . . . . . 18 „
გიორგი ლომთათიძე—ქართული კულტურის ძველი კერა (წერილი მეოთხე) . . . 24 „
შ. სიმონელი—ღრო და კალენდარი (საუბარი ასტრონომიიელ საკითხებზე) . . . . 27 „
შ. გვინჩიძე—მითოლოგიის ლექსიკონი . . 30 „
გასართობი (შედგენილია ალ. საჩინოელის მიერ) . . . გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანზე მხატვარ **ალ. გიგოლაშვილის** ნახატი „**კალორობა**“.

პასუხისმგებელი რედაქტორი — თ. გელიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უე—09045. ტირაჟი 7000. გამომც. შეკვ. № 61. სტამბის შეკვ. № 1279
ლ. პ. **ბერიას** სახელობის **ბ**ეკომბინატი „**კომუნისტი**“, ლენინის ქ. № 28,
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.

გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენისქვეიღის ამოცანა

მეწისქვილეს დანომრილი ჰქონდა ფქვილიანი ტომრები. მან ეს ტომრები ისე დაალაგა, როგორც სურათზეა ნაჩვენები: შუაში — სამი ტომარა, მათ ორივე მხარეს — ორ-ორი და თავსა და ბოლოში — თითო. თუ გავამრავლებთ მარცხენა მხარის ორი ტომრის რიცხვს 28-ს მათ გვერდით მდებარე ერთი ტომრის რიცხვ 7-ზე, მივიღებთ შუაში მდებარე სამი ტომრის რიცხვს — 196. მაგრამ თუ მარჯვენა ორი ტომრის რიცხვს 34-ს გავამრავლებთ მათ გვერდით მდებარე ერთი ტომრის რიცხვ 5-ზე, 196-ს ვერ მივიღებთ.

მეწისქვილემ ასეთი ამოცანა მოგვცა: ისე დაალაგეთ ეს ცხრა ტომარა, რომ თუ თვითეული წყვილი ტომრების რიცხვს გავამრავლებთ მათ გვერდით მდებარე ერთი ტომრის რიცხვზე, მივიღოთ საშუალო ჯგუფის სამი ტომრის რიცხვი 156.

როგორ უნდა დავალაგოთ ეს ცხრა ტომარა?

ხუმრობანი

სწორი პასუხი

მასწავლებელმა ასეთი, ფრიად იოლი ამოცანა მისცა მოსწავლეს:

— მაგიდაზე ოთხი ბუზია. თუ მე ერთს მოვკლავ, რამდენი დარჩება?

— ერთი დარჩება, მოკლული, — უპასუხა მოსწავლემ.

სასაცილო პასუხი

— რამდენი წლისა ხარ?

— თხუთმეტის.

— შენ ხომ შარშან შვიდი წლისა იყავი?

— მერე რა! შარშან—შვიდი, წელს—რვა, სულ თხუთმეტია.

კითხვა—პასუხი

— რომელი ფრინველი დებს ძალიან დიდ კვერცხს და რომელი მეტად მომცროს?

— კუნძულ შაიცერგენის კლდეებზე და ახალი მიწის ცალაბო ნაპირებზე ბუდობს შავი ფრინველი კაირა. ის ივის ოდენაა და ცურვაზე იხვსა ჰგავს. კაირა

ნიბლია

ერთ კვერცხს დებს; ეს კვერცხი წეროს კვერცხზე უფრო დიდია. წეროს კვერცხი კი, თავის მხრივ, ქათმის სამი კვერცხის ოდენაა.

მეტად მომცრო კვერცხს ნიბლია დებს: მისი ოთხი კვერცხი ჩვეულებრივ სათითურში მოთავსდება.

— ავად ხდება თუ არა სპილო?

— მოშინაურებული სპილო საკმაოდ ხშირად ავადმყოფობს. მაგ ხშირად აწუხებს ჭიკალი მუცელში. მაშინ სპილო ფეხებს მიიკეცავს ხოლმე, ხანეშის და წრიპინებს. სპილოს ასეთ შემთხვევაში ასმევენ ერთ კილოგრამ საჭმელ ზეთს. სპილო ვერ იტანს ორკოლ ქარს, ადვილად ციდება. ზამთარში, თუ მას ყურები არ შეუთბუნეს, მოძრავს ყურებს, დიდი სიცივეც რომ არ იყოს. სპილო შეიძლება დაიღუპოს, ერთი ნაპერი ხორცი ან ქონი რომ გადაყლაპოს.

გამოცანა

ნაყოფია კანმაგარი —
ბარეთ ატლასის სადარი,
შიგნით ლალი ჩაწყობილი,
ზოგი—მეავე,—ზოგი ტკბილი.

ფასი 5 მან.

48/26
95-144
ეროვნული ბიბლიოთეკა